www.ihe.tsu.ge

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის
სახელობის
ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

20 დეკემბერი
2024

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების

ყოველწლიური სამეცნიერო

კონფერენცია

პროგრამა
•
მოხსენებათა მოკლე შინაარსები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების

ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენცია ეძღვნება წმინდა ქეთევან დედოფლის წამებიდან 400 წლისთავს

2024 წლის 20 დეკემბერი

პროგრამა
და
მოხსენებათა მოკლე შინაარსები

თბილისი
2024

რედაქტორი:
სოფიო ქადაგიშვილი

© ავტორთა ჯგუფი, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი", 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-941-7

DOI: https://doi.org/10.52340/9789941336850

პროგრამა

რეგლამენტი:
მოხსენება -10 წუთი
დისკუსია - 5 წუთი

ჩატარების დრო:
2024 წლის 20 დეკემბერი
ჩატარების ადგილი:
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მისამართი:
უნივერსიტეტის ქ. N.2, კორპუსი 11, თბილისი

სესია I

დასაწყისი –10:30

სხდომის თავმჯდომარე: მარიამ ჩხარტიშვილი

•

წმინდა ქეთევან დედოფლის მარტვილობა ქართული და ევროპული წყაროების მიხედვით

ნარი ჩხაბერიძე

•

ამაშუკეთის სავანის წმ. გიორგისა და „კოზმანის“ ეკლესიების ძველი ქართული წარწერები (წინასწარი დაკვირვებები)

ნიკოლოზ ჟღენტი

•

ძვირფასეულობა და „პატიოსანი თვლები“ *ქახთღის ცხოვრების* მიხედვით

ქეთევან ქუთათელაძე

•

ცნობები იმერეთის მეფე სოლომონ I-ის იტინერარისთვის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის და იაკობ რაინეგსის ნაშრომებში

ალექსანდრე თვარაძე

•

შაჰანშაჰი ჰორმიზდ-არდაშირი და ქართლი

მარიამ ჩხარტიშვილი

წიგნის პრეზენტაცია 11:45

მაკა ნაჭყებია – ქეთევან დედოფალი XVII-XVIII სს ქართულ და ევროპულ მწერლობასა და ისტორიულ წყაროებში

შესვენება: ყავა/ჩაი 12:30

სესია II

დასაწყისი 13:00

•

მარაბდის ბრძოლა (1625): ტაქტიკური სამხედრო-ისტორიული ანალიზი

ირაკლი ფაღავა

•

ენგურის ხეობის დასახლებების ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან (ჯვარი-ხაიშის მონაკვეთი)

პაპუნა გაბისონია

•

რა ვიცოდით 2014 წლამდე ცურტავის მდებარეობის შესახებ?

ვახტანგ გოილაძე

•

შიდა სოციალური ბმების აღმნიშვნელი ტერმინების – *ტომისა* და *ნათესავის* – გაგებისთვის

სოფიო ქადაგიშვილი

•

„საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე“ – ისტორიული სინამდვილის გააზრებიდან პოლიტიკური დისკურსის ფორმირებამდე

ზურაბ თარგამაძე

•

პროტესტის დინამიკა XXI საუკუნის ინგუშეთში: „მიტინგური დემოკრატია“ და მისი თანმხლები გამოწვევები

მარიამ ბეჟიტაშვილი

•

რელიგიური იდენტობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართული ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით

ქეთევან მანია

•

არქივთმცოდნეობა საქართველოში: განვითარების ისტორია, პრობლემები და პერსპექტივები

მანუჩარ გუნცაძე

მოხსენებათა მოკლე შინაარსები

პროტესტის დინამიკა 21-ე საუკუნის ინგუშეთში: „მიტინგური დემოკრატია“ და მისი თანმხლები გამოწვევები

მარიამ ბეჟიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენება, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოვადგენ, ჩემი სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილია. კვლევის ფოკუსი მიემართება ერთ-ერთი მკვიდრი კავკასიელი ერის – ინგუშების სამოქალაქო აქტივიზმის ისტორიას. ნაშრომის მიზანია თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, ხელმისაწვდომი დოკუმენტური მასალების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახსნას და შეაფასოს მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გამოცდილება და პერსპექტივები ინგუშეთში.

ინგუშეთის რეალობაში, სადაც მუდმივი ჭიდილია ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების ვერტიკალსა და ადგილობრივ კავკასიურ ჰორიზონტალურ ძალას შორის, სამოქალაქო აქტივიზმი მარგინალიზაციას განიცდის. ამავდროულად, ის ამ არასუვერენულ რესპუბლიკაში დემოკრატიის არსებობისთვის არა უბრალოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, არამედ საკვანძო და გადამწყვეტი საკითხია, ცენტრალური მორალური ცნებაა.

სამოქალაქო აქტივიზმის აღმავლობა ინგუშეთში 2018 წელს განვითარებულ მოვლენებს – ადმინისტრაციულ-ტერი-

ტორიული საზღვრების მორიგ სახეცვლილებას – მოჰყვა. ეს პროცესები თავისი უპრეცედენტო სტატისტიკის, ფორმისა და შინაარსის მიხედვით უდავოდ საყურადღებოა და მისი შესწავლა ისტორიული მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა. ის საინტერესოა არამხოლოდ თავისთავად, ვიწრო მიმართულების სპეციალისტებისთვის, არამედ საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის მკვლევართათვისაც, რადგანაც საქართველო მისი მეზობელი ინგუშეთისთვის ისტორიულად და ტრადიციულად ორგანული ნაწილი იყო და დღესაც ამ უკანასკნელის პრობლემატიკის აღქმა რეგიონის განუყოფელ ნაწილად – მისი ობიექტური კვლევა ან/და კვლევის შედეგების ქართულ სამეცნიერო სივრცეში დისემინაცია მნიშვნელოვანია ორივე ერისთვის.

აქედან გამომდინარეობს ამ კონფერენციაზე ჩემი კვლევის წარდგინებისგან მოსალოდნელი „სარგებელიც“ – საერთაშორისო მასშტაბით ჯერჯერობით ნაკლებად იდენტიფიცირებულ და, ამასთან, მეტად აქტუალურ საკითხებზე ინგუშური მაგალითის მეშვეობით მსჯელობა კავკასიური პრობლემატიკის ინტერნაციონალიზაციის ეფექტური გზაა.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო აქტივობები ინგუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი წყალგამყოფი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება, მაინც ინგუშური სამოქალაქო აქტივიზმის არსებული პრეზენტაცია, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, უფრო დესკრიფციული ხასიათისაა, ვიდრე ანალიტიკური და მოკლებულია სათანადო სიმკვეთრეს. სწორედ ახალი ცოდნის შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში არის როგორც ამ მოხსენების მიზანი, ისე მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის მთავარი ჰიპოთეზა.

ინგუშური სამოქალაქო აქტივიზმის პლატფორმიდან ჩემ მიერ შერჩეული მაგალითების (2018-19 წლების საპროტესტო დემონსტრაციები) კვლევა ეფუძნება „პროტესტის რიტუალ-

ის“, როგორც ანალიტიკური კატეგორიის, გამოყენებას. ძირითად წყაროებს ჩემთვის მეხსიერების ჯგუფები წარმოადგენენ – ესენი არიან პროტესტების მთავარი აქტორები და მონაწილენი – აქტივისტები, რომლებიც ჩემთან, ინტერვიუს ფორმატში აქტივიზმის საკუთარი გამოცდილების შესახებ აკეთებენ რეფლექსიას.

როგორც ჩემი დაკვირვებები ცხადყოფს, XXI საუკუნის ინგუშეთში ადგილი აქვს პროტესტის ახალი ფორმების გაჩენას.

საკვლევი კითხვები:

- რა გზა გაიარა ინგუშურმა სამოქალაქო აქტივიზმმა 2018 წლამდე (ეროვნული მოძრაობის გენეზისად, მისი მიზნებისა და ორიენტაციების ფორმირების საწყისად მივიჩნევთ 1920-1934 წლებს, ეს იყო ინგუშთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის პირველი ეტაპი)? როდის და რატომ ჩამოყალიბდნენ სახალხო/ეროვნული მოძრაობები და რა როლი შეასრულეს მათ ინგუშეთის უახლეს ისტორიაში?
- რა შეიცვალა ინგუშურ საპროტესტო სტრატეგიებში 2018-19 წლებში?
- როგორ იქცა ინგუშეთში 26 სექტემბერი ტერიტორიული რღვევის წინააღმდეგ ბრძოლის დღედ?
- რა გავლენა აქვთ სოციალურ ქსელებს სამოქალაქო მოძრაობის მობილიზაციის პროცესში?

როგორც ამ საკითხების კვლევა აჩვენებს, ინგუშური სამოქალაქო აქტივიზმი განსაკუთრებული მდგრადობითა და მკაფიოდ გამოხატული ეთნიკურობით ხასიათდება; იგი, უმთავრესად რეაქციაში გამოიხატება, თვისობრივად ნეგატივისტურია, მიმართულია რაღაცის წინააღმდეგ და მისი აქტორი ბუნებრივი, სპონტანური სამოქალაქო საზოგადოებაა; მობილიზაციის და ტაქტიკის პრობლემა არ დგას ინგუშურ საზოგადოებაში, ამის უნარ-ჩვევები/პოტენციალი აქვს ამ

ხალხს. განსაკუთრებული წარმატებებს სამოქალაქო ნაციის წრთობის გზაზე ავლენს სწორედ 2018-19 წლების პროტესტები – მას თან ახლავს მომიტინგეთა სოციალური ბაზის გაფართოება და გენდერული ნიშნით დაბალანსება, საზოგადოების მართვის ადათობრივი ინსტიტუტის ერთგვარი სახეცვლილება, სახელდობრ, უფროს-უმცროსობის პრინციპის დემოკრატიზება, ეროვნული იდეის მასობრიობა და საერთოეროვნული სივრცის კონსოლიდაცია. „მიტინგური დემოკრატიის“ ამ წარმატებულ ეტაპს თან სდევს მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი ინტერესები/იდეები პოლიტიკური გარანტიებით გაამყაროს და მოახდინოს საკუთარი იდენტობის და სამოქალაქო როლის რეალიზება იმ სახელმწიფოში, რომელშიც ინკორპორირდება.

ენგურის ხეობის დასახლებების ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან (ჯვარი–ხაიშის მონაკვეთი)

პაპუნა გაბისონია
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მდინარე ენგურის ხეობის შუა წელის ისტორიის საკითხი, რომელიც დასახლებებს: ჯვარსა და ხაიშს შორის არის მოქცეული, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ მდინარის ხეობის ამ ნაწილზე საისტორიო წყაროებში ძალზე მწირი ინფორმაციაა. თავის დროზე დიმიტრი ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ქართველ მემატიანებს სიტყვაც არ დას-

ცდენიათ ენგურის ხეობაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ენ-გურის ხეობის ამ მონაკვეთის წარსულს ეხებოდნენ იმდე-ნად, რამდენადაც მათ საკვლევ თემას სჭირდებოდა.

ენგური საქართველოს ერთ-ერთი წყალუხვი მდინარეა, მაგრამ დღეს მის კალაპოტში წყლის მოცულობა ნახევარზე ნაკლებია. თაღოვანი კაშხლის აშენების მერე, წყლის დებე-ტის უდიდესი ნაწილი დერივაციული გვირაბით გალის წყალ-საცავში მიემართება, იქიდან კი მდინარე ერისწყალით შავ ზღვაში ჩაედინება. ჯვრის (ენგურის) წყალსაცავის აშენებამ გარკვეულწილად იმოქმედა ხეობის ამ მონაკვეთის ლან-დშაფტზე. აქ არსებული პატარა სოფლები და მათთან ერთად ისტორიული ნაშთები დაიტბორა. საბედნიეროდ, ნაწილი ჩა-ძირვას გადაურჩა. დატბორილი სოფლებიდან მოსახლეობა ძირითადად აფხაზეთში გადაასახლეს.

მდინარე ენგურის ადგილობრივი, მეგრული სახელწოდე-ბა ინგირია. სვანეთში დღეს ენგურს უწოდებენ, მაგრამ XIX საუკუნეში მას „ჭალაი“-ს ეძახდნენ (ნ. მარი). ენგური//ეგრი ამ მდინარის სალიტერატურო სახელწოდებაა. სწორედ ამ სა-ხელით არის მოხსენიებული კათოლიკე მისიონერი ბერების: არქანჯელო ლამბერტის და ქრისტეფორე კასტელის ოდიშის სამთავროს რუკებზე. შემდგომში, უმეტეს რუსულ რუკებზე ენ-გური უკვე მეგრული სახელწოდების მიხედვით „ინგურად“ იხსენიება. ვფიქრობთ, რომ მდინარის ადგილობრივი სა-ხელწოდება ინგირი კომპოზიტი უნდა იყოს, როგორც ამას ი. ყიფშიძე მიიჩნევდა: ინ//ყინ - ცივი, ყინულივით, ხოლო გირი – წუქი, ხაჭოს შრატის შედეგად დარჩენილი წყალი. მდინარის წყალი ცივია და მღვრიე ფერისაა, როგორც შრატს ახასიათებს. შეიძლება გირი ასევე დიდი ოდენობით მოვარ-დნილ წყალსაც უკავშირდებოდეს. წყალსაცავის აშენებამდე ენგურს დიდი წყალმოვარდნები ახასიათებდა.

ენგურის ხეობას მიუყვება ზემო სვანეთისკენ მიმავალი გზა. ეს გზა უძველესი დროიდან აკავშირებდა სვანეთს კოლ-

ხეთის დაბლობთან. ამ გზას სვანები ლენხერის გზას უწოდ-ებდნენ. ძველად ეს ბილიკი ვიწრო ხეობას მდინარის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მიუყვებოდა. შესაბამისად, მცირე დასახლებები ამ ბილიკის გასწვრივ იყო გაშენებული. გზა იწყებოდა დღევანდელ დაბა ჯვარიდან. ეს დასახლება პირ-ველად XVII საუკუნეშია მოხსენიებული. შემდეგ ეს ბილიკი გაიდიოდა „ომუნედ“ წოდებულ ადგილას, სადაც დღემდე შე-მორჩა საყარაულო კოშკის ნაშთი. ომუნე დანისლულს, მოღუ-შულს ნიშნავს, ხოლო კოშკს გასული საუკუნის დასაწყისამდე „ყენიაშ//ყენ ჯიხას“ – ყენიას ციხეს ეძახდნენ. ყენია, ამ შემ-თხვევაში, გვარს არ უკავშირდება, არამედ განყენებულად მდგარს ნიშნავს. ეს კოშკი დაბა ჯვარის და ადგილ გუბანის მოშორებით, გორაკზე დგას და დღეს ომუნეს ჯიხას სახელ-წოდებით უფრო იცნობენ. ზემო სვანეთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა „ლაბერაშის“ (ლაბარა) სახელწოდებით ცნობილი საფორტიფიკაციო ნაგეობაბა, რომლისგანაც დღეს მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი (თ. ბერაძე). ნასოფლარი ხუდონი, სადაც გადიოდა ბილიკი XVII საუკუნეში იხსენიება, როგორც ლამაზი სოფელი. აკაკი ჭანტურიას ჯვარის რუკის მიხედვით მის მახლობლად იდგა შრდენის ანუ შევარდენის კოშკი, რომელიც დღეისთვის წყალსაცავშია მოქცეული. ეს კოშკი ადგილ ხოკოს ტერიტორიაზე მდგარ სასიგნალო სა-ფორტიფიკაციო ნაგებობას უყურებდა, რომლის შიგნით მცი-რე დარბაზული ეკლესიაც ყოფილა (ზ. სამუშია).

XIX საუკუნის რუსულ რუკებზე ენგურის ხეობის ამ მონაკ-ვეთში შემდეგი სოფლებია დატანილი: ხუდონი, ტყვიში, ბო-გურჯელი, მუნწყვა, მამიშურა, კა, ქველეთონა, ხუბერი//ხუ-ბერჯალი. მდინარის მარჯვენა მხარეს: ფურაში, ფაშტახირი, ტყაბედნიერი. ამ სოფლებში მცხოვრები მეგრელი გლეხები მესაქონლეობასთან (მეჯოგეობა) ერთად მცირე რაოდენობ-ით მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ. საინტერესოა ამ სოფლე-ბის სახელწოდებების განმარტება. ვფიქრობთ, რომ ხუდონი

ჩაღრმავებულ ადგილს, ხევს უნდა ნიშნავდეს (ხუ -დამხობილი, ჩაღრმავებული, ისევე როგორც დონი - დონთხაფილი - დაცემული, დონწყვილი – ჩაძირული, ან დონიარელი ანუ ნიაღვარგადავლილი). ტყვიში გადაბარდულ ტყეს შეიძლება დაუკავშიროთ, ხოლო ბოგურჯელი – ხიდს. ამ ადგილებში გარეული ვაზისგან გაკეთებულ ხიდს ახსენებს ა. სტოიანოვი. ფურაში – ცხელი ადგილი, ფაშტახირი – ნაკაფი ტყე, კა – სვანურად კლდე, ხუბერი – ხევში ჩავარდნილი დიდ ლოდი, ხუბერჯალი – ხუბერში არსებული ტყის კორომი. სახელწოდება მუნწყვა საფიქრებელია, ნესტიან ადგილას მობინადრე ერთგვარ მიკროორგანიზმს უკავშირდებოდეს, რომელიც სპეციფიკურ სუნს გამოსცემს (მუნწი – უნიჟარო ლოკოკინა, ა. ქობალია).

XIX საუკუნის რუსულ რუკებზე საერთოდ არ არის დატანილი დღევანდელი მესტიის მუნიციპალიტეტში შემავალი ხაიშის თემის სოფლები. ზემო სვანეთის სოფლები რუკებზე ნაჩვენებია მხოლოდ დღევანდელი ლახამულას თემიდან. ხაიში და მის თემში შემავალი სოფლები მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, როდესაც ლახამულადან შედარებით სამხრეთით მოხდა მოსახლეობის გადმოსახლება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უძველესი დასახლებების კვალი ხაიშისა და ჭუბერის თემის ტერიტორიაზე გვხდება.

ენგურის ხეობის ეს მონაკვეთი XIX საუკუნის დასაწყისში სადავო იყო ჯვარელ დადიანებსა და ჩუბეხეველ (ქვემო ხევი) დადეშქელიანებს შორის. ამ დავაში გარკვეულწილად სამეგრელოს მაშინდელი ხელისუფალნიც (დავით დადიანი და მისი მეუღლე, ეკატერინე ჭავჭავაძე) იყვნენ ჩართულნი. ამ ტიპიურ ფეოდალურ საადგილმამულო დავაში შემდეგ რუსეთის იმპერიის მოხელეებიც ჩაერივნენ. ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა დადეშქელიანების სახლის მმართველი დიგორხანი. მისი მტკიცებით ჩუბეხეველ დადეშქელიანებს უსამართლოდ მოექცნენ, როდესაც დიდი ტერიტორია ჩამო-

აჭრეს სამეგრელოს სამთავროს სასარგებლოდ. დიგორხანის წერილის მიხედვით, ჩუბეხეველი დადეშქელიანების და სამეგრელოს სამთავროს მიჯნა ადგილ ცხვიმზაგელზე გადიოდა. ცხვიმზაგელი იგივე რცხილნარ გორას ნიშნავს. ასეთი ადგილი ხუდონთან ახლოს არის და მას ცხიმურონი ჰქვია (თეკანაში მთის კალთაზე). დიგორხან დადეშქელიანისვე ცნობით, ამის მერე დადიანების მამულის მიჯნამ მის საკუთრებასთან მდინარე ეიცამდე აიწია. ასეთი საადგილმამულო დავა დიგორხანს სხვებთანაც ჰქონდა და მისეული ხედვა სასაზღვრო მიჯნის ნამდვილობის თაობაზე დამატებით კვლევას მოითხოვს. მდინარე ეიცზე არის ადგილი ტყაბედნიერი, სადაც ეკლესიის ნანგრევები იყო. აქვე მეფუტკრეობის ღვთაების ჯგერაგუს (კარგი, წმინდა აგუნა) ანუ აგუნას ლოცვა აღევლინებოდა, სადაც მას შესთხოვდნენ, რომ ენგურს ზიანი არ მიეყენებინა.

რა ვიცოდით 2014 წლამდე ცურტავის მდებარეობის შესახებ?

ვახტანგ გოილაძე

თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ცურტავი ძველი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ ისტორიული ქალაქთაგანია, რომლის სახელი საშუალო სკოლიდან, ალბათ, ყველა იმ პიროვნებამ იცის, რომელმაც V საუკუნეში მცხოვრები იაკობ ცურტაველის თხზულება – *წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ* ისწავლა. მაგრამ, არც ჩემი მოსწავლეობისას და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არც შემდეგში – დიდი ხნის განმავლობაში არა თუ საშუალო სკოლის მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებსაც ვერ უხსნიდნენ სად

მდებარეობდა ცურტავი. ზოგადად ყველამ იცოდა – ცურტავი ქვემო ქართლის პიტიახშად წოდებული ვარსქენის რეზიდენცია რომ იყო. აქ აღარაფერს ვამბობ იმის ცოდნაზე, ვარსქენის ნებით რომელ ციხეში გაატარა შუშანიკ დედოფალმა 6 წელი. როგორც გაირკვა, *მეფეთა ცხოვრების* ცნობებიდან გამომდინარე, ადრიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი რომელი საგვარეულოს ჩამომავალი იყო ვარსქენი, რა აკავშირებდა მას ირანში ცნობილი მიჰრანებისა და სახელგანთქმულ ფარნავაზიანთა დინასტიასთან. აქვე უნდა აღვნიშნო, ამ ბოლო საკითხში გაურკვევლობა *მეფეთა ცხოვრების* ცნობებისადმი უნდობლობით იყო განპირობებული.

ახლა, რაც შეეხება ცოდნას ცურტავის მდებარეობის შესახებ. აკად. ი. ჯავახიშვილის თანახმად, ცურტავი V საუკუნეში ჰერეთის საერისთავთ-საერისთავოსა და ჰერეთის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი და ჰერეთის მთავართა, პიტიახშების საჯდომი ადგილი ყოფილა. მისივე სიტყვებით, თვით „ეთნოგრაფიული ჰერეთი" კი, აღმოსავლეთ საქართველოს სწორედ მტკვრის სამხრეთით მდებარე, უკიდურესი სამხრეთი თემი იყო.

ქართველი ერის ისტორიის პირველი წიგნი, საიდანაც ბატონ ივანეს ზემომოტანილი სტრიქონებია დამოწმებული, ამ წიგნის 1928 წლის გამოცემის გამეორებაა. მასში ბატონ ივანეს პროფ. ს. კაკაბაძესთან კამათიდან ჩანს, რომ ს. კაკაბაძე V-VII საუკუნეებში ცურტავს მანგლისის დასავლეთით მდებარედ ვარაუდობდა. მაგრამ ბატონი ივანე არ წერს მისთვის რამდენად მისაღები იყო ცურტავის მდებარეობის ასეთი განსაზღვრა.

შემდეგში ს. კაკაბაძეს ცურტავის მდებარეობის შესახებ აზრი შეუცვლია. 1994 წელს გამოიცა მის მიერ ჯერ კიდევ 1958 წელს დასრულებული მონოგრაფია – *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა* (როგორც ჩანს, ამ მონოგრაფიის ტექსტს ს. კაკაბაძე დრო და დრო ახალი მასალით ავსებდა). მასში ს. კაკაბაძე

წერს: V-VII საუკუნეებში ცურტავად იწოდებოდა ახლანდელი სოფ. სიონის ტერიტორიაზე – გაჩიანი და ცურტავი. ისინი თავდაპირველად წარმოადგენდნენ ერთი და იმავე ადგილის ცალკე უბნების სახელებს. ს. კაკაბაძე იქვე დასძენს, „დ. ბერძენიშვილის აზრით, ცურტავი მდებარეობდა მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირას, ჭაპალას ციხის მახლობლად"-ო. ამრიგად, ს. კაკაბაძის დასახელებულ მონოგრაფიაში ცურტავის მდებარეობის შესახებ 1965 წლამდე ცოდნაა ასახული.

დაახლოებით იმავე ხანას ეკუთვნის *ქართლის ცხოვრების* ტექსტისადმი აკად. ნ. ბერძენიშვილის „შენიშვნები" ვახტანგ გორგასლის *ცხოვრებისადმი* (გამოქვეყნდა 1979 წელს *საქართველოს ისტორიის საკითხების* XI ტომში). ბატონი ნიკო როცა ჩამოთვლის ამ თხზულებაში დასახელებულ ქვემო ქართლის საეპისკოპოსოებს: მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, იქვე დასძენს – „ცურტავი სადღაა"-ო (გვ. 26). მართლაც, ამ თხზულებაში მხოლოდ იმაზეა მითითება, წმიდა შუშანიკი დიდი პატივით ცორტავს რომ დაფლეს. ნ. ბერძენიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ბოლნისი იგივე ცურტავია. 1979 წელვე გამოცემულ მონოგრაფიაში *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში* აკად. მ. ლორთქიფანიძე წერდა: „ქვემო ქართლის საპიტიახშოს ცენტრად ცურტავს ვარაუდობენ, სადაც არის პიტიახშის ტაძარი, ანუ სასახლე, სასახლის საეპისკოპოსო და მასზე დაცილებით კიდევ ციხე". იმავე ცურტავს ასახლებს პიტიახშის „სახლის კარად" მოსე ცურტავის ეპოსკოპოსი. სამწუხაროდ, გეოგრაფიული სახელი ცურტავი ადრე დაიკარგა. X საუკუნეში უკვე აღარ არსებობს ასეთი სახელის პუნქტი. მართალია, უხტანესი წერს, ცურტავი მაშინ ერქვა, ახლა გაჩიანი ეწოდებაო, მაგრამ „ჩვენთვის არც გაჩიანის ადგილდებარეობა არის ცნობილიო".

ცურტავის მდებარეობის საკითხს, როგორც მოსალოდნელი იყო, გვერდს ვერ აუვლიდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ისეთი მკვლევარი, როგორიცაა აკად. დ. მუსხე-

ლიშვილი. 1980 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები* (II), იგი წერს: „ქალაქ გაჩიანის, უხტანესის მიხედვით, იგივე ცურტავის ლოკალიზაცია დაუდგენელია, მაგრამ ყველა ნიშნით იგი უნდა მდებარეობდეს, სადღაც მდ. დებედას ქვემო წელზე ან მდ. ხრამის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირის ველზე, სომხური წყაროების ვრაც-დაშტში".[1]

ამის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე ცურტავის მდებარეობის შესახებ ზუსტი წარმოდგენა არ გვქონდა. 1984 წელს ჟურნალ *მნათობში* გამოქვეყნებულ – სპეციალურად იაკობ ცურტაველის თხზულების პერსონაჟებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში, ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი ლაშა ჯანაშია წერს: „ცურტავი უნდა ყოფილიყო სადღაც ქვემო ქართლის, დაახლოებით, დღევანდელი ნომეკლატურით, სადღაც თეთრი წყაროს, ბოლნისისა და მარნეულის რაიონში".

1964 წლის შემდეგ ბატონმა დევი ბერძენიშვილმა ბევრი გააკეთა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ცალკეული საკითხების, როგორც ჩანს, მათ შორის ცურტავის მდებარეობის შესასწავლად. 1987 წელს *ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის* მეთერთმეტე ტომში გამოქვეყნებულ წერილში „ცურტავი", მან ამ ქალაქის მდებარეობის შესახებ ახალი ხედვა შემოგვთავაზა. მისი სიტყვით, ცურტავი ისტორიული ქალაქი იყო ქვემო ქართლში. მდებარეობდა მდინარეების – ქციისა და დებედას შუა დაბლობზე. ვარაუდით, გაგის ციხის მიდა-

---

[1] ცურტავის მდებარეობის შესახებ ბატონი დავითის ეს ცოდნაა ასახული 2003 წელს გამოცემულ მის მონოგრაფიაში – *საქართველო IV-VIII საუკუნეებში* ჩანართ რუკაზე – საქართველო V საუკუნის მეორე ნახევარში (გვ. 21). მასში ცურტავი ხუნანიდან კარგა მოშორებით დასავლეთით, რუსთავის აღმოსავლეთითაა მითითებული. იგივე მდგომარეობაა დავით მუსხელიშვილის რედაქტორობით 2003 წელსვე გამოცემულ *საქართველოს ისტორიის ატლასში*, V საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს რუკაზე (გვ. 14).

მოებში – ახლანდელი სოფლების ყაჩაღანისა და კუშჩის ახლოს, მარნეულის რაიონში. ბატონი დევის გარდაცვალების (2008 წ.) შემდეგ, 2014 წელს გამოცემულ მის მონოგრაფიაში – *ნაჰკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან*, ბატონი დევი „ვარაუდით" კი არა, დამაჯერებლად გვიმტკიცებს სად მდებარეობდა ქ. ცურტავი. სათანადო საისტორიო წყაროების გაანალიზების შემდეგ მან დაასკვნა: მას შემდეგ, რაც გუგარქი ქართლის სამეფომ დაიბრუნა, ქართულ-სომხურ წყაროებში ჩნდება ცნობები ქართლის პიტიახშებზე, ისინი გუგარქის საპიტიახშოს მემკვიდრეებად იგულისხმებიან და აქვე დგება საკითხი პიტიახშის რეზიდენციის ლოკალიზაციისა. ქართულ-სომხურ წყაროთა მიხედვით, ეს ყოფილა დაბა ცურტავი, მდებარე ფართო ველზე, რომელსაც სომხურ წყაროებში „ვრაც-დაშტ", ე.ი. „ქართველთა ველად" იწოდება.[2] მისი ერთი ნაწილი იყო წოფისხევი, რომელიც დებედის ქვემო დინებასაც მოიცავდა (მდ. ქციის შემდინარეთა ქვემო წელი).

სწორედ აქ, ახლანდელი მარნეულის რაიონის სოფ. ყაჩაღანის მახლობლად მიკვლეული იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ქვის ჯვარია მიჩნეული იმ ჯვარად, რომელიც 628 წლის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ „ბერდუჯს" (მდ. დებედას)[3] „გულსა სოფლისასა" აღმართა. იქვე, მდ. დებედას ქვემო დინების მახლობლად მდებარეობდა, შემდეგში აღჯაყალისა და გაგის სახელით ცნობილი პეროჟა-კაფას ციხე.

დ. ბერძენიშვილის სიტყვით, აღჯაყალის აღმოსავლეთით, 4,5 კმ-ზე სოფ. ქაჯაგანში (ყაჩაღანში) იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ქვაჯვარის აღმოჩენის შემდეგ ნ. ბერძენიშვილი თვლიდა – „თუ შუშანიკის იაკობისეული მარტვილობა

---

[2] ცურტავი რომ საძიებელი იყო მდინარე დებედას ქვემო წელზე ამის შესახებ, როგორც ვნახეთ, ბატონმა დავით მუსხელიშვილმაც მიუთითა, მაგრამ ცურტავის ასეთ ლოკალიზაციაში მთლად არ იყო დარწმუნებული.

[3] ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, მდ. ბერდუჯი იგივე მდ. დებედაა.

სანდოა, მაშინ ცურტავი უეჭველად ქაჩაგან-აღჯაყალაა.[4] ამის შემდეგ დ. ბერძენიშვილი დასძენს: „ახლა აღარსად ჩანს იაკობის თხზულებაში აღწერილი პიტიახშის სასახლე („ტაძარი”), აღარაა არც საეპისკოპოსო ეკლესია, თუმცა ზემოაღნიშნული ქვაჯვარი მის მახლობლად უნდა მდგარიყო; ამჟამად მხოლოდ აღჯაყალის ციხის ნანგრევებს ვხედავთ, მასაც მრავალგზის გადაკეთებულს, ბუნებრივია ვეღარ ვიპოვით „ჴიდსა მას ციხისასა”. დ. ბერძენიშვილი იქვე იმოწმებს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის იმ ცნობას, რომლის თანახმად, ცურტავი მაშინ (ე.ი. იაკობის მოღვაწეობისას - ვ.გ.) იყო „სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი, ხოლო ახლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდინარის პირზე, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყნებს შორის.

ამრიგად, 2014 წელს ბატონი დევი ბერძენიშვილის მონოგრაფიის – *ნაჩკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან* გამოქვეყნების შემდეგ ვიცით არა თუ ცურტავის ზუსტი მდებარეობა, არამედ ის ციხეც (პეროჟა-კაფა, გვიანდელი გაგი, აღჯაყალა), სადაც შუშანიკ დედოფალმა 6 წელი გაატარა.

[4] აყჯაყალის (მისი თანადროული პეროჟა-კაფას, გვიანდელი-ლალის, გაგის) ციხე „რანისა და მოვაკანის“ საპიტიახშოს ცენტრი იყო. ვარსქენმა ის 468 წელს ირანის შაჰისაგან მიიღო და მას შემდეგ იწოდა პიტიახშად. დ. ბერძენიშვილის თანახმად, შაჰისაგან განდიდებული ვარსქენი „ქვემო ქართლისა და რანის მმართველი“ გახდა.

არქივთმცოდნეობა საქართველოში: განვითარების ისტორია, პრობლემები და პერსპექტივები

მანუჩარ გუნცაძე
კავკასიის უნივერსიტეტი

მოხსენების მიზანია საქართველოში არქივთმცოდნეობის ისტორიისა და თანამედროვეობის წარმოჩენა. დარგის მნიშვნელობა და განვითარება, თანამედროვე სტანდარტების გაგებით, თვისებრივად XX საუკუნეს უკავშირდება.

საბჭოთა ეპოქამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს არქივთმცოდნეობის პრაქტიკაში. არქივები ცენტრალიზებული და გაფართოებული იყო, თუმცა მათი ფუნქცია მეტად პოლიტიზებული გახდა, ხოლო შინაარსი შესაბამისი იდეოლოგიური ნარატივების შესაქმნელად შეირჩეოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ეპოქამ გარდამტეხი ეტაპი მოუტანა საქართველოს, როცა ქვეყანამ დაიწყო არქივების ინსტიტუციური აღდგენა, არქივთმცოდნეობის მოდერნიზაციის მეტი საშუალება გაჩნდა. თუმცა, ეს პროცესი მრავალ გამოწვევასთან იყო დაკავშირებული, მათ შორის, არასაკმარისი დაფინანსება, მოძველებული ინფრასტრუქტურა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების ნაკლებობა.

დღეს, საქართველოს არქივთმცოდნეობა ახალ გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან დგას. ტრადიციული არქივების მეთოდები უნდა შეიცვალოს ციფრული ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ციფრული ჩანაწერების რაოდენობა მუდმივად იზრდება. განსაკუთრებით აქტუალურია ციფრული დაცვის სტრატეგიების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ჩანაწე-

რების ხანგრძლივ ხელმისაწვდომობასა და მთლიანობას. გარდა ამისა, საარქივო მასალების ხელმისაწვდომობა მკვლევრებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის შეზღუდულია ნელი დიგიტალიზაციის პროცესისა და არასაკმარისი გავრცელების მექანიზმების გამო. მიუხედავად ამისა, ეს გამოწვევები ასევე აჩენს შესაძლებლობას, გადაიაზროს არქივთმცოდნეობის სფერო საქართველოში ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით.

არქივმცოდნეობის მომავალი საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების ტრანსფორმაციული შესაძლებლობების ათვისებაშია. ციფრული ჰუმანიტარიის პერსპექტივა უზრუნველყოფს ახალი ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებას არქივების დაცვის, ხელმისაწვდომობისა და ანალიზის გაუმჯობესებისთვის.

„საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე“ – ისტორიული სინამდვილის გააზრებიდან პოლიტიკური დისკურსის ფორმირებამდე

ზურაბ თარგამაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
კავკასიის უნივერსიტეტი

წყაროთმცოდნეობითი კვლევის თვალსაზრისით, ქართულ საისტორიო სკოლას მნიშვნელვანი გამოცდილება და მიღწევებიც აქვს, თუმცა იგივეს თქმა რთულია ისტორიული პროცესის ანალიზისა და გააზრების მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ კვლევათა რაოდენობა, რომელთა მიზა-

ნიც ისტორიული ეპოქის კონცეპტუალური შეფასებაა, კრიტიკულად მცირეა.

ამჯერად დაკვირვებისათვის შევარჩიეთ VII-XI საუკუნეები. აღნიშნული პერიოდი, წყაროთა სიმწირის მიუხედავად, მეტნაკლებად კარგად შესწავლილად ითვლება და, ამდენად, ისტორიული ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც დავეყრდნობით ანალიზისას, ნაკლებადაა საკამათო.

წინამდებარე მოხსენებაში, ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ იქცა საქართველოს ისტორიის ერთი კონკრეტული მონაკვეთი, იმ პერიოდის პოლიტიკური სინამდვილე, თანამედროვე ეპოქაში, ერთგვარ ისტორიულ და პოლიტიკურ კონცეპტად, რომლის თანახმადაც, ისტორიულად საქართველოს არსებობის შესაძლებლობა მხოლოდ იმპერიის ქოლგის ქვეშ აქვს.

სწორედ ამ მიზნით, მოხსენებაში, პირველ რიგში, განვიხილავთ ამ ეპოქის პოლიტიკური ისტორიის უმთავრეს მომენტებს, კერძოდ, არაბთა ბატონობის შედეგად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, ასევე ბიზანტიის იმპერიის მნიშვნელობასა და გავლენას ამ პროცესების მიმდინარეობაზე. კერძოდ, იმას, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირება ბიზანტიის იმპერიაზე.

მეორე და უმთავრესი ამოცანა გახლავთ, მოსაზრების, რომ – „საქართველოს სამეფოს ფორმირებასა და წარმატებაში ბიზანტიის იმპერიის როლი გადამწყვეტი იყო“ – რევიზირება, იმის დაზუსტება, თუ რამდენად აქვს ამ შეხედულებას ისტორიული საფუძველი. საგულისხმოა, რომ აღნიშნლი კონცეფციის თანახმად, ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ განიხილება რუსეთის იმპერია და თანამედროვე რუსეთიც. ასევე, ვეცდებით, ვაჩვენოთ, თუ როგორ და როდის გადაეჯაჭვა ერთმანეთს ხსენებული კონცეფცია და იდეა „ერთიანი კავაკსიის შესახებ“, რომლის აქტუალიზების მცდელობებს პე-

რიოდულად ვხვდებით, მათ შორის, განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული.

ცნობები იმერეთის მეფე სოლომონ I-ის იტინერარისთვის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის და იაკობ რაინეგსის ნაშრომებში

ალექსანდრე თვარაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მოხსენებაში განხილულია ცნობები იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომიდან „მოგზაურობა საქართველოში“ და იაკობ რაინეგსის ნაშრომიდან „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“, სადაც წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია იმერეთის მეფე სოლომონ I-ის იტინერარის ცალკეული მონაკვეთების შესახებ.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობაში სოლომონ მეფე პირდაპირი სახით ჩნდება ორჯერ: ორივე შემთხვევაში დედაქალაქის გარეთ, თავისი სამეფოს ცალკეულ მხარეებში, (1772 წლის) ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს დასაწყისში – რაჭაში, ხოლო აგვისტოს ბოლოს და სექტემბერში – უშუალოდ იმერეთში, დაბლობზე მდინარე ყვირილასთან ახლოს. სამეფო კარის საზაფხულო ბანაკი შედარებით დიდი ხნით მოქმედებაში იყო სოფლებში სხარტალში და ცხრაწყაროში. გიულდენშტედტი გვაწოდებს აგრეთვე ინფორმაციას სამეფო კარზე მყოფი მაღალი რანგის დიდებულების, სახელმწიფო მოხელეების, სასულიერო პირების, სტუმრების შესახებ. სამეფო კარის შედგენილობა შესაბამის დროს უცვლელი არ ჩანს, ცალკეული წევრები სავა-

რაუდოდ, ტოვებენ და კვლავ უერთდებიან მას. გიულდენ-შტედტის მოგზაურობის აღწერილობაში წარმოდგენილია აგ-რეთვე ინფორმაცია მეფის გადაადგილების ფარგლებში კო-მუნიკაციისთვის მალემსრბოლების მუდმივი გამოყენების, სამეფო რეზიდენციების და სამეფო სადგომების, სამეფო სა-კუთრების შესახებ.

იაკობ რაინეგსის ნაშრომში მოცემული ცნობა აგრეთვე დამატებით ადასტურებს, რომ დედაქალაქის გარეთ მეფის ყოფნის სახით საქმე გვაქვს გარკვეულწილად რეგულარულ მოვლენასთან. რაინეგსი აღნიშნავს: (იმერეთის სამეფოს) დიდებულები ნოემბერის და დეკემბერის თვეების გარდა იმ-ყოფებიან არა დედაქალაქში, ქუთაისში (სადაც ისინი საც-ხოვრებლებს ფლობენ მეფის სამყოფელის სიახლოვეს), არ-ამედ – თავის საკუთარ მამულში და ყოველი მათგანი შესაბა-მისი დროისთვის ელოდება მეფის სტუმრობას. მეფე წლის განმავლობაში ნელა მოგზაურობს თავის ქვეყანაში, ყველ-გან, სადაც ბანაკს დასცემს, აწარმოებს ასევე სამართალს, ისმენს ყოველი ცალკეულის საჩივარს და ზრუნავს წესრიგის დამყარებისთვის.

გერმანელი მოგზაურების მიერ მოწოდებული ინფორმა-ციის საფუძველზე კეთდება ანალიზი მეფის იტინერარის ცალკეული მონაკვეთების, იმგვარი საკითხების, რაც უშუალ-ოდ უკავშირდება მეფის იტინერარს, როგორიც არის მეფის მგზავრობის საშუალებით ქვეყნის მართვა, მეფის მიერ ად-გილზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება, დედაქალაქის და მის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციების თუ სადგო-მების ურთიერთმიმართება, მათი როლი ქვეყნის მართვის-თვის, სამეფო საკუთრება, მეფის სტუმრობა და სხვა.

რელიგიური იდენტობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართული ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით

ქეთევან მანია
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქრისტიანულ სარწმუნოებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ქართველმა ერმა ქრისტიანობა იმდენად შეისისხლხორცა, რომ იდენტობასთან აიგივებდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სწორედ, ეკლესია აღმოჩნდა ქართველობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა მძლავრი ერთობა დარაზმულიყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამიტომაც გახდა ეკლესია ხელისუფლების სამიზნე და დაიწყო აქტიური ანტირელიგიური პროპაგანდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს საკითხის შესახებ მრავალმხრივი (ა. დაუშვილის, მ. ნათმელაძეს, ო. ჯანელიძის, ს. ვარდოსანიძის, ქ. პავლიაშვილის, მ. ქართველიშვილის) გამოკვლევები, დღემდე არ გვხვდება ბეჭდური მედია-მასალებით განხილვა. ჩემი მიზანია საკითხის ამ კუთხით ანალიზი საზოგადოებრივ პერცეფციებზე დაკვირვებით.

საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური პროპაგანდა მიმართული იყო, ერთი მხრივ, ქრისტიანული ისტორიული მეხსიერების, მეორე მხრივ, სამღვდელოების წინააღმდეგ. ქრისტიანული მეხსიერების წაშლის მიზნით ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბუნებისმეტყველო ცოდნათა გავრცელებას, ადამიანის და სამყაროს წარმოშობის სა-

კითხის მეცნიერულ გაშუქებას ხალხში. შეიქმნა და გამოიცა ანტიქრისტიანული ლიტერატურა.

ამასთან, ბეჭდური მედია იქცა საბჭოთა იდეოლოგიის ცირკულაციის განსაკუთრებულ საშუალებად, სადაც ხშირად ქვეყნდებოდა ანტიქრისტიანული და სამღვდელოების ავტორიტეტის შემლახველი წერილები, მედია ეწეოდა ქრისტიანული ლიტერატურის მითიური ხასიათის პროპაგანდას. ამავე დროს, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო საუკუნეების განმავლობაში ტრადიციადქცეული ქრისტიანული წეს-ჩვეულებების და დღესასწაულების შეცვლა-გადაკეთება. ქრისტიანული შობის ნაცვლად შემოიღეს „კომკავშირული შობა“, რომელსაც ჰქონდა თეატრალიზებული და გართობა-მხიარულების ხასიათი.

მძლავრი ანტირელიგიური პროპაგანდა ანტირელიგიურ მოძრაობაში გადაიზარდა. ამის მაგალითს წარმოადგენს წმინდანების – დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების გახსნა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან საგანგებოდ გამოგზავნილი წარმომადგენლები. ისინი დაბრუნების შემდეგ აქტიური პროპაგანდისტები აღმოჩნდნენ რელიგიის და სამღვდელოების წინააღმდეგ. დაიწყო საქართველოს სხვადასხვა მხარეში გლეხების და მუშების გამოსვლები რელიგიის და სამღვდელოების წინააღმდეგ.

მედია ხაზგასმით მიუთითებს გლეხკაცობის ფსიქოლოგიაში და მსოფლმხედველობაში მომხდარ გარდატეხაზე. ქრისტიანულმა დღესასწაულებმა დაკარგა წინანდელი სახე. მცხოვრებთა მხოლოდ 20 პროცენტი დღესასწაულობდა ქრისტიანულ დღესასწაულებს, საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი, კომუნისტი იდეოლოგების აღნიშვნით, დღესასწაულობდა რელიგიის დამონავებისაგან განთავისუფლებას. მასობრივი ხასიათი მიიღო ეკლესიების დახურვამ, რომელიც ხდებოდა ხმის უმრავლესობით, გლეხობის ნაწილის სურვილი უყურადღებოდ იყო დატოვებული. დახურულ ეკლესია-მონასტრებში ხელისუფლებამ გახსნა კულტურული დაწესებულებები: კლუბები,

თეატრები, სკოლები, სამკითხველოები, რომლებიც მძლავრ იდეოლოგიურ კერებად აქცია.

ქართული სამღვდელოების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლა გაძლიერდა გენუის კონფერენციისადმი კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვის შემდეგ. საგანგებო კომისიამ ქართული სამღვდელოება კონტრრევოლუციურ, საბჭოთა ხელისუფლებისთვის საშიშ საქმიანობაში დაადანაშაულა და ამავე ბრალდებით დააპატიმრა კიდეც. გაიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის და სამღვდელო პირების საჩვენებელი სასამართლო პროცესი ნაძალადევის თეატრში. პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროცესის ამსახველი ინფორმაციების გაშუქებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში საგანგებოდ შერჩეულ ხასიათს ატარებდა, ასევე ქვეყნდება მუშების გამოხმაურებები. წერილებში აპელირება ხდება იმაზე, რომ ქართულმა სამღვდელოებამ ერს უღალატა, მშრომელებს უღალატა, ფლანგავდნენ მშრომელთა ქონებას; ხაზგასმა ხდება იმაზე, რომ განაჩენი, რომელიც უნდა გამოიტანონ, მშრომელების მოთხოვნაა და სწორედ ისინი მოითხოვენ სიკვდილით დასჯას და მათ დაკვეთას ასრულებს საგანგებო კომისია.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ კათალიკოს ამბროსი ხელაიას და მასთან ერთად სასულიერო მამებს უმაღლესი სასჯელი – სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო გასამართლებულთა ღრმა მოხუცებულობა, მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების ცნობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ხალხში არავითარი ნდობა/გავლენა არ ჰქონდათ. შესაბამისად, საშიშროებას არ წარმოადგენდნენ ხელისუფლებისთვის, მათ სასჯელი პატიმრობით შეუცვალათ. ე.ი. საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველგვარი პრივილეგია გამოაცალა სასულიერო წოდებას. ანტირელიგიურმა პროპაგანდამ გაანადგურა სამღვდელოების საზოგადოებრივი გავლენა.

განხილული მედია-მასალებით თვალსაჩინოა თუ როგორ ცდილობდა კომუნისტური იდეოლოგია რელიგიის, როგორც საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორის წაშლას, თუმცა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ძნელი აღმოჩნდა ხალხის მეხსიერებიდან ქრისტიანული ტრადიციის, ჩვევების, წესების ამოშლა. საუკუნეების განმავლობაში სარწმუნოებრივ ტრადიციებს იმდენად მყარად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერებული ანტირელიგიური პროპაგანდისა, დღესასწაულებს ქრისტიანული ტრადიციით ხვდებოდა ხალხის ნაწილი.

ამაშუკეთის სავანის წმ. გიორგისა და „კოზმანის“ ეკლესიების ძველი ქართული წარწერები (წინასწარი დაკვირვებები)

ნიკოლოზ ჟღენტი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ბორითსა და ამაშუკეთს ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი. მოხსენებაში განვიხილავთ სავანის წმ. გიორგისა და „კოზმანის“ ეკლესიების წარწერებს. ორივე ეკლესია ადრე ამაშუკეთს ეკუთვნოდა. ადგილობრივი სამღვდელოების მიწვევით აღნიშნული წარწერების შესასწავლად რამდენჯერმე ვეწვიე სოფელს.

სავანის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს სოფლის ძველ სასაფლაოზე. დღეისათვის ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოგვიანო მინაშენები აქვს. მინაშენების

სახურავი ჩანგრეულია. ნაგებობის (გარშემოსავლელის) კვალი ჩანს დასავლეთ მხარესაც. ეკლესიის აფსიდა ნალისებური მოხაზულობისაა, რაც მიუთითებს მის სავარაუდო თარიღზე – VIII-IX სს. უშუალოდ ეკლესიას ეტყობა რამდენიმე გადაკეთების კვალი. ეკლესია შიგნიდან მოხატულია XVI საუკუნის მხატვრობით.

ეკლესიის კედლებსა და სხვა მონაკვეთებზე შემორჩენილია 20-მდე ლაპიდარული, ფრესკული და ნაკაწრი წარწერა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე მათგანი.

სოფლის თავზე, „კოზმანის“ მთაზე მდებარეობს ამავე სახელწოდების დარბაზული ეკლესია. მრავალი გადაკეთების შემდეგ, მისი თარიღის ზუსტად განსაზღვრა ძალზე რთულია. აღნიშნულ ეკლესიაში არის კიდევ ერთი უცნობი ლაპიდარული წარწერა, რომლის ამოკითხვაც ნაწილობრივ არის შესაძლებელი.

წარწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი შინაარსის დადგენა მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ ამ ეკლესიების ისტორიული, არქიტექტურული და ქრონოლოგიური საკითხების შესწავლისთვის, ასევე იმერეთის ამ ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის ტოპონიმიისა თუ ძველი ფეოდალური სახლების შესწავლისთვის. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სწორედ ეს დაკვირვებები.

მარაბდის ბრძოლა (1625): ტაქტიკური სამხედრო-ისტორიული ანალიზი

ირაკლი ფაღავა
კავკასიის უნივერსიტეტი;
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1625 წლის 1 ივლისს გამართული მარაბდის ბრძოლა (ალგეთთან) ქართული სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი და პოპულარული ეპიზოდია. აღსანიშნავია დავით გვრიტიშვილის (*შაჰ-აბასიადა* და *სააკაძიადა*, 1965), გივი ჯამბურიას (*გიორგი სააკაძე*, 1967), ივანე შაიშმელაშვილის (*უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები*, 1978), როსტომ ნიორაძისა (*Полководческая деятельность Георгия Саакадзе*, 1986) და ირაკლი ჯორჯაძის (*История военного искусства Грузии*, 1989) ნაშრომები, გიორგი ანჩაბაძის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (*Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 1990). ამასთანავე, ბრძოლისადმი მიძღვნილ სამამულო ისტორიოგრაფიაში შეინიშნება მიდრეკილება მოვლენების ჰეროიზაცია-ბელეტრიზაციისადმი, და გიორგი სააკაძის განდიდებისადმი, რასაც ზოგჯერ წყაროების *კრიტიკული* ანალიზი და, საზოგადოდ, სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია ეწირება. ბოლოდროინდელი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების ავტორები ძირითადად შაიშმელაშვილის ვერსიას ეყრდნობიან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი მარაბდის ბრძოლის *ტაქტიკური* სამხედრო-ისტორიული ანალიზია.

ბრძოლის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე *ნარატიულმა* პირველწყარომ შემოგვინახა: სპარსულმა, ისქანდერ მუნშის თხზულებამ (აღვნიშნავთ გრაფემით ղ); და ქართულმა – ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიამ (Ф); ისტორიულმა პოემებმა,

– იოსებ თბილელის, საკააძის *დიდმოუhავიანმა* (Ს) და მეფე არჩილის *გაბაასებამ თეიმუhაზისა hუსთვეღთან* (Ჩ); XVIII ს-ის ისტორიოგრაფიამ, ბერი ეგნატაშვილის (?) *ახაღმა ქაhთღის ცhოვhებამ* (Უ) და ვახუშტის (Შ) *აღწეhა სამეფოსა საქაhთვეღოსა*. ყველა პირველწყარო შეიცავს ორიგინალურ ინფორმაციას; მათი ურთიერთგავლენა არ არის აბსოლუტური.

არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა (პოტენციალი: „12 ათასი“ ტყვიის აღმოჩენით სპარსი თოფანგჩიების განლაგების დაზუსტება; ძვლების აღმოჩენით ბრძოლის ადგილის დაზუსტება; ორდუბაზარის ადგილმდებარეობის დაზუსტება?).

მხარეთა სტრატეგიული მიზნები შემდეგნაირად გვესახება: ქართველთა – აგრესორის მოგერიება; სეფიანთა – თბილისის გარნიზონის დებლოკადა, შეძლებისდაგვარად ქართველთა ლაშქრის დამარცხება, ქართველ დიდებულთა თავის მხარეზე გადმობირება, ქართლზე სამხედრო კონტროლის დამყარება, მოსახლეობის დატყვევება-დეპორტაცია.

ქართველთა ლაშქრის შემადგენლობა – Უ: 20 ათ. (ქვეით/ცხენოსანთა თანაფარდობა უცნობია); მანუჩარ ათაბაგის 300-კაციანი რაზმის ჩათვლით (ᲩᲨ) (Უ ახსენებს მანუჩარის ძეს).

სეფიანთა ლაშქრის შემადგენლობა: რაოდენობა უცნობია. გამოვთქვამთ წინასწარ ვარაუდს – 30-35 ათ. მათ შორის არტილერია (ზარბაზანთა რაოდენობა და რაობა უცნობია!), თოფოსნები, ყორჩიები, ღოლამები, ჩოხურ-საადის, შირვანისა და ადრიბეჟანის ოლქების ყიზილბაშები (Უ). თოფოსნები: 12 ათ. (Ძ). საკითხავია, მსუბუქი არკებუზებით თუ მძიმე მუშკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი? ნაწილი მაინც, არკებუზით (ცხენზე ან აქლემზე ამხედრებულნი მძიმე მუშკეტს ვერ გამოიყენებდნენ, ერთჯერადადაც; საზოგადოდ კი, თოფანგჩიები უფრო დრაგუნებს წარმოადგენდნენ).

მხარეთა საბრძოლო გეგმები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ისა-ხანის გეგმა თავდაცვითი იყო, რამდენიმე მიზეზით – ის ელოდებოდა შაჰ-ბენდე ხანის დამხარე ძალას (Ղ); თავდაცვაში თოფჩებისა და თოფანგჩიების გამოყენება მაქსიმალურ სარგებელს მოუტანდა; შესაძლოა, ელოდებოდა სეფიანთა მხარეს ქართველი დიდებულების (პირველ ყოვლისა, ბარათაშვილების) გადასვლას.

ქართველთა სარდლობა 2 ურთიერთსაპირისპირო გეგმას განიხილავდა – წყაროები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ორივეს გიორგი სააკაძეს მიაწერენ: 1) კოჯორ-ტაბახმელის ვიწრობების გამაგრება და თბილისისკენ მიმავალი მოწინააღმდეგის იქ მოგერიება (არგუმენტაცია: დაბლობში ქვეითებს სიცხეში გაუჭირდებოდათ ბრძოლა; ჯარის ერთიანად ამოწყვეტის რისკის თავიდან აცილება) (Շ) (ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ პარტიზანულ ტაქტიკად მიიჩნევენ, რაც არ არის გამართლებული); 2) მარაბდის ველზე ჩასვლა და მტერზე შეტევა (არგუმენტაცია: მტერი ვერ გაუძლებდა მძიმე შუბოსანი კავალერიის შემოტევას; თავიდან აიცილებდნენ ბარათიანთ ღალატს; პასიური თავდაცვის შემთხვევაში სეფიანთა ჯარი თბილისამდე ალტერნატიული გზითაც მივიდოდა) (Φ). დაყოვნების შემთხვევაში *ბახათაშვიღების* წასვლისა და სხვათა დაშლის რისკს Շ-ც ახსენებს. ბარათა ბარათაშვილი შეტევის მომხრეა (ՇԴ) – „ეშინოდა განლტოლვად ბარათიანთა“ (Դ).

მიიღეს მე-2 გეგმა, რაც ისტორიოგრაფიაში უმძიმეს შეცდომად განიხილება. ჩვენი აზრით, მთიან-ტყიან ვიწრობებში ქართული ლაშქარი ვერ გამოიყენებდა თავის ერთადერთ უპირატესობას – მძიმე კავალერიას; ბარათაშვილები კი, შესაძლოა, მართლაც მასიურად გადასულიყვნენ ყიზილბაშთა მხარეს. საბოლოო მარცხი არ გამორიცხავს თავდაპირველი გეგმის სისწორეს.

ქართველების თავდაპირველი პოზიცია: კოჯორ-ტაბახმელის მაღლობები (ՊՇԴ). ვეთანხმებით შაიშმელაშვილის მიერ

ბრძოლის, და, მაშასადამე, სეფიანთა თავდაცვითი პოზიციის ლოკალიზაციას – ვაკე ადგილის, მარაბდის ველის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოფ. მარაბდის (ძვ. მარაბდა) მიდამოებში, სერზე. პირველწყაროები ერთხმად ახსენებენ ალგეთს (ᲗᲣᲜᲦᲠᲪ), ზოგ შემთხვევაში ასევე „მარაბდის თავს“ (Ც), „მარაბდის გორას“ (Ნ). პოზიციის უპირატესობას, ჩვენი აზრით, განაპირობებდა: 1) ადგილის გაშლილობა, რაც მრავალრიცხოვანი, ცხენოსან-„აქლემოსანი“ სეფიანთა ლაშქრის განლაგებისთვის აუცილებელი იყო; 2) მისი თუნდაც უმნიშვნელო (20-მეტრიანი) ამაღლების თავდაცვითი ღირებულება; 3) ალგეთის სასმელი წყლის სიახლოვე; 4) დმანისი-კოდა-თბილისი გზით მოძრაობისას მარაბდის ველზე გასასვლელი ვიწრობის გაკონტროლება.

სეფიანთა პოზიციისკენ მიმავალ ქართველთა ლაშქარს გაუძღვა კავალერია, რომელსაც უკნიდან ქვეითი ჯარი მოჰყვებოდა (Ღ). შეიძლება *ვივარაუდოთ* ეპოქის ქართული ჯარისთვის დამახასიათებელი დაყოფა რამდენიმე *ᲥᲝᲨᲐᲥ* (ანჩაბაძე).

ისა-ხანმა თავისი ლაშქარი თავდაცვით პოზიციაში განალაგა – წინ მეთოფენი (ᲦᲪ) – 4 რიგად: მუხლ-მჯდომი, ზეზე მდგომი, ცხენოსანი, აქლემიანი (Ც); და ზარბაზნები „არაბიანად“ (Ც) (აშკარაა, რომ თოფოსნები ზარბაზნების წინ/ფერდობზე უფრო დაბლა განალაგეს; თითოეულ რიგში თოფოსანთა რაოდენობა განსხვავებული უნდა ყოფილიყო, და არა თანაბარი). Თ-ის მიხედვით, თოფოსანთა რაზმის წინ ავანგარდი იდგა, ამირგუნე-ხანის მეთაურობით („სანგრებს“ ან სხვა ნებისმიერ ფორტიფიკაციას პირველწყაროები არ ასახელებენ). ისა-ხანი ცენტრში განლაგდა (Თ), Ღ-ის მიხედვით „მაღლობზედ დროშას ქვეშ“. შეიძლება ვივარაუდოთ მისი დადგომა შემაღლებაზე, პოზიციის მარცხენა მხარეს (?) (Ნ: მარაბდის გორა? შაიშმელაშვილი: „ნაომარი“; თანამედროვე სოფ. ძველი მარაბდა? – სერის ყველაზე მაღალი წერტილი?).

Φ-ის თხზულების საფუძველზე ისტორიოგრაფიაში გავრცელდა მოსაზრება, რომ შაჰ-ბენდე ხანის რაზმი ჩასაფრებაში რჩებოდა („მარჯვენას მჴარეს ღელეში მიფარული შეიქნა“). ϒ-ის მიხედვით კი წინწყაროში იმყოფებოდა, საიდანაც დაგვიანებით მოვიდა მარაბდასთან. სარწმუნოდ გვეჩვენება ϒ-ის ცნობა, რომ შაჰ-ბენდეს უბრალოდ აგვიანდებოდა და ისა-ხანი მას ელოდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ (წინწყაროდან მოსული?) შაჰ-ბენდე ბრძოლაში *უეცრად* მარჯვენა მხრიდან ჩაერთო (Դ-ის მიხედვით ამირგუნე (sic) – „მოისწრაფა და მოვიდა მარაბდის გორიდამ“), რაც ქართველებმა აღიქვეს როგორც ჩასაფრებიდან მისი გამოსვლა.

უშუალო საბრძოლო კონტაქტს მხარეებს შორის 5 ეტაპად დავყოფდით:

I. საწყისი შებრძოლება და ქართველების მიერ სპარსთა ცეცხლსასროლი ხაზის გარღვევა (ՇΦ) – ქართულმა მძიმედ აღჭურვილმა ცხენოსნებმა „თოფის მოსაწევამდისინ ნელად აიარეს, მერმე ფარები დაიფარეს და შუბები წაიგრძელეს და ცხენ ჭენებით მიუხდნენ და თორმეტმან ათასმან მეთოფემ თოფი დააყარეს“ (Φ) (ϒ ახსენებს ავანგარდს, რომელიც ქართველმა ცხენოსნებმა დაამარცხეს, *სანამ* თოფოსნებს დაერეოდნენ). ქართველთ დიდად არ უზარალიათ (?) – თოფოსნებმა „ვერა ქნეს რა“ (Φ), თუმცა, გარკვეული დანაკარგი იქნებოდა (Ն: გიორგი სააკაძეს ცხენი მოუკლესო). შესაძლო მიზეზები: მხოლოდ ერთხელ გასროლის შესაძლებლობა, არკებუზის ნასროლის დაბალი შეღწევადობა; რელიეფი; თოფოსანთა და თოფხანის დაუცველობა.

II. ქართულმა მძიმე კავალერიამ დაამარცხა და გააქცია თოფოსანთა უკან მდგომი ყიზილბაშთა ძირითადი რაზმები (ΦϒΓՇ). ϒ დამარცხებას ბრძოლის *შემთხვევით შეუფეხებელ ადგილას* გამართვას (?) აბრალებს, რის გამოც სეფიანთა *ცენტრმა მახჯვენა და მახცხენა ფრთებიდან* დახმარება ვერ მიი-

ღო; ყიზილბაშებს პანიკა დაეუფლათ (Ղ). გაქცეულ ყიზილბაშებს გატეხილ ხიდამდე დევნიდნენ (ՊԴ). ქართველები შეიჭრნენ სეფიანთა ჯარის ბანაკ-აღალში (ორდუბაზარში) და იქ ალაფობა დაიწყეს (ՔՂՇ); Ղ-ის თანახმად, ქართველები იმ მხრიდან შეიჭრნენ, სადაც პირისპირ მოწინააღმდეგე აღარ დახვდათ. Ղ-ის ცნობით, საკუთარ ქონებას ორდუბაზარში დარჩენილი სეფიანი არაკომბატანტებიც დაერივნენ. ნაალაფარის კონფისკაციისთვის (!) და ნადავლის ხელში ჩასაგდებად ორდუბაზარს მივიდნენ ავთანდილ სააკაძეც და ზურაბ ერისთავიც (Ք). ქართველები გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „ომის გათავება და მტერს ზედ გამარჯვება აღარ მოიც(ა)დეს“ (Ք).

III. ყიზილბაშებმა შეძლეს გადაჯგუფება, კონტრშეტევა, და (მნიშვნელოვანწილად?) ალაფობით დაკავებული ქართველების (ვინც ჯერ კიდევ ბრძოლის ველზე რჩებოდა) დამარცხება: Ղ-ის მიხედვით ისა-ხანი მტკიცედ იდგა ბრძოლის ველზე (უკან არ დაუხევია?); პირდაპირ გზიდან შაჰ-ბენდე ხანის ბრძოლაში ჩართვით კი სხვებიც გამხნევდნენ და ბრძოლის ველზე გამობრუნდნენ. ՔՇ-ს მიხედვით კი ბრძოლის ბედის შეტრიალება უფრო შაჰ-ბენდე ხანის დამსახურება იყო. პანიკამ ამჯერად უკვე ქართველები მოიცვა (Ք: შაჰ-ბენდე ხანი შაჰ ‘აბბას I ეგონათ – „შაჰ გელდი“; ՔՇՊԴ: მოკლული თეიმურაზ მუხრან-ბატონი თეიმურაზ I-ში აერიათ). ქართველები (ცხენოსნებმა მაინც) გაიქცნენ (Ղ), კოჯრისკენ დაიხიეს (Ք).

IV. ქართული ცხენოსანი ჯარის ბრძოლის ველიდან გაცლისა (გატეხილი ხიდისკენ) და დარჩენილთა დამარცხების შემდეგ (Ղ) ყიზილბაშებმა შეუტიეს დარჩენილ ქართველ ქვეითებს, – მოქანცულმა (ՔՇ) ქვეითებმა გაქცევა ვერ შეძლეს და მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დიდი რაოდენობით დაიღუპნენ (Ք). სხვათა შორის, მათ გასანადგურებლად ისა-ხანმა თოფოსნებიც გამო-

იყენა (Φ) (რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ბრძოლის I ეტაპზე ყველა თოფოსანი როდი დაეცა).

მეტ-ნაკლებად სინქრონულად დაიწყო ასევე დამარცხებულთა –

V. დევნა: დამარცხებული ქართველები კოჯრისკენ გაიქცნენ – ყიზილბაშები მათ კოჯრის ციხემდე დაედევნენ (Φ) (ყიზილბაში ჯარისკაცების ბანაკში *დაბhუნებაზე* Ղ-ც წერს);. გატეხილი ხიდის მიმართულებით მტრის მადევარი ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი ცალკე გაბრუნდნენ (Ն) (Շ: ავთანდილმა და დავითმა „რაზმი განვლეს, უკან სდივეს“), ჩანს, ბრძოლის ველის ავლით.

ქართველთა/სეფიანთა დანაკარგების ანალიზი გაძნელებულია პირველწყაროების განსხვავებული ცნობების გამო – Ղ: 10,000/1,000 (მრავალი თოფანგჩი); Φ: 5,000/არ აღნიშნავს; ՇՊ: 9,900 (აქედან 900 „ზურაბის ყმა“/14,000-იო; Պ-ს მინაწერში: /12,000; სამამულო ისტორიოგრაფიაში აქსიომადაა ქცეული 9/14 ათ.); Դ: 8,900 (არაგვის საერისთავოს 900 მებრძოლის ჩათვლით)/18,000. Ղ-ის ცნობები აშკარად მიკერძოებულია, თუმცა, Շ-ის და Դ-ის ციფრების *თანაფაhდობაც* დაუჯერებლად გვეჩვენება (გარდაიცვალა მრავალი ქართველი სარდალი; დაეცა მრავალი ქართველი ქვეითი; ბრძოლის ველი დაჭრილებიანად ყიზილბაშებს დარჩათ); – სეფიანთა ჯარის დანაკარგიც არსებითი უნდა ყოფილიყო: 12,000 (?) თოფანგჩიების ხაზის გარღვევა, მათ უკან მდგომი დანაყოფების დამარცხება). დანაკლისებს საორიენტაციოდ შევაფასებდით როგორც 5-9,000/5-10,000 მაინც (?).

ბრძოლის ტაქტიკური ანალიზის საფუძველზე შემდეგ დასკვნებს გავაკეთებდით:

1) შაჰ ‘აბბას I-ის მიერ წინანდელზე ბევრად უფრო ფართოდ დანერგილი ცეცხლსასროლი იარაღი (თოფჩებისა და თოფანგჩიების / ჯაზაირჩიების კორპუსების დაარსება-გაძ-

ლიერება) თავისთავად არაეფექტური აღმოჩნდა კლასიკური შუბოსანი მძიმე კავალერიის შემოტევის მოსაგერიებლად;

2) სეფიანთა ირანში ცეცხლსასროლი იარაღის უფრო ფართოდ დანერგვა-გავცელებას, ჩანს, თან არ ახლდა ადეკვატური ტაქტიკის შემუშავება – მუშკეტერთა/არკებუზირთა დაცვა შუბოსანი ქვეითებით, ან Wagenburg-ით მაინც (ამგვარი კვლევა-ძიება სინქრონულად წარმოებდა ევროპაში, ძირითადად ნიდერლანდებსა და შვედეთში);

3) ძველი ყაიდის, ფეოდალურმა ქართულმა სამხედრო მანქანამ (modus operandi – მძიმე შუბოსანი კავალერიის ფრონტალური შეტევა) დაამტკიცა თავისი ეფექტურობა (ხელსაყრელი გარემოებების არსებობის პირობით); ყოველ შემთხვევაში, რეგიონის სამხედრო რეალიებში; ცეცხლსასროლი იარაღის შეზღუდულად და არაოპტიმალურად გავრცელება-გამოყენების პირობებში;

4) ბრძოლის ბედი გადაწყვიტა არა სეფიანთა ცეცხლსასროლმა იარაღმა, არამედ გვიან-ფეოდალური ქართული მძიმედ აღჭურვილი მხედრობის (და არა გაწვრთნილი ევროპული მძიმე კავალერიის) მართვისა და დისციპლინის ხარვეზებმა (შეად. კლუშინოს ბრძოლას, 1610 წ., რომელშიც ჟეჩ-პოსპოლიტას ჰუსარებმა დაამარცხეს მოსკოვიტთა ჯარი, რომლის რიგებშიც დე ლა გარდის ევროპელი მუშკეტერებიც იბრძოდნენ; არაერთხელ უკუგდებლმა ჰუსარებმა დისციპლინირებულად მოახერხეს 10-მდე შეტევა განეხორციელებინათ, სანამ მოწინააღმდეგის ქვეითები საბოლოოდ მაინც არ გატეხეს).

შიდა სოციალური ბმების აღმნიშვნელი ტერმინების — *ტომისა* და *ნათესავის* – გაგებისთვის

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქართული საისტორიო წყაროები ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაძლევს არამხოლოდ ფაქტების დადგენის კუთხით, არამედ ერთობის აღქმებზე დასაკვირვებლადაც. შიდა სოციალური ბმების დასაფიქსირებლად ყურადღება გავამახვილე *ქართლის ცხოვრების* ტექსტებში და ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში დაფიქსირებული ეთნიკურობის აღმნიშვნელ ტერმინებზე (*ტომი, ნათესავი*), რომელთა შესახებ დაკვირვებასაც დასკვნის სახით წარმოვადგენ.

ქართული შუა საუკუნეების ტექსტებისათვის უცხო არ არის ეთნიკური ტერმინების (ნათესავი, ტომი, ერი და ა.შ.) ერთდროულად დაფიქსირება და, ხშირ შემთხვევაში, მათი სინონიმებად გააზრებაც კი. მათი მნიშვნელობის დადგენა ტექსტის მხოლოდ ცალკეული მონაკვეთის გააზრებით როდია შესაძლებელი. ქართული შუა საუკუნეების წყაროების საერთო კონტექსტში დაკვირვებამ გარკვეული კავშირები და მიმართებები გამოავლინა ტერმინებს შორის, თუმც, გარკვეული მონაკვეთები არ იძლევა ბოლომდე ინტერპრეტაციის საშუალებას.

ტომი და *ნათესავი* ტექსტებში ხშირად ერთდროულად ფიქსირდება, თუმცა მათი სინონიმებად გაგება, ყოველთვის არ არის სწორი. კვლევამ გამოავლინა, რომ *ნათესავისგან* განსხვავებით, *ტომის* მნიშვნელობა უცვლელია, ეს სიტყვა საერთო გვარის, საერთო ოჯახის წევრობას გულისხმობს.

თუმცა *ნათესავის* მსგავსად, საერთო წარმომავლობის შინაარსის მატარებელია *ტომიც*. მათი განსხვავება ხშირად ნიუანსებშია, თუკი *ნათესავი* მარკირდება სისხლით და ტერიტორიით (ცალკე ან ერთად), *ტომი* საერთო თესლს უკავშირდება. ამიტომაც, არც თუ ისე ხშირად, *ტომს* უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე *ნათესავს*.

ნათესავის მნიშვნელობა *ტომის* მიმართ ზოგჯერ უფრო ფართოა, ზოგჯერ კი, პირიქით. ტექსტებზე დაკვირვებით თვალსაჩინოა კონცეპტ *ნათესავის* ცვლილების დინამიკა და ვიწრო, ახლო სისხლისმიერი ერთობის გამომხატველი გახდა, ტომი კი მეტ-ნაკლებად დაიკარგა, საერთო ისტორიული წარმომავლობა კი *ჩამომავლობით* ჩანაცვლდა. ორივე ტერმინი საერთო წარმოშობის კონტექსტის მატარებელია, თუმცა, რასაც დღეს სინონიმებად აღვიქვამთ, შუა საუკუნეებში კავშირების განსხვავებული ფორმების მანიშნებელი იყო. დროთა განმავლობაში მათი მნიშვნელობის ცვლილება, ამავდროულად, საზოგადოების ცნობიერების დონის განვითარებასაც ასახავდა.

ძვირფასეულობა და „პატიოსანი თვლები“ *ქართლის ცხოვრების* მიხედვით

ქეთევან ქუთათელაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქონების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისა და განძთსაცავების ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების კვლევის დროს, ინტერესს იწვევს ის ძვირფასეულობა და მისი აღმნიშვნელი სახელწოდებები, რომელიც ქართულმა წყაროებ-

მა შემოგვინახეს. ძვირფასი ქვების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადასტურებს ქართულ ხელნაწერებში მათ შესახებ ცნობათა სიუხვე. ქართლის ცხოვრებაში მოიხსენიება, როგორც „სამსახურებელი ოქრო-ვერცხლი“, ასევე, „საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება ოქროსა და ვერცხლის გამოსაყენებელი ნივთები, მაგ., ჭურჭელი, მეორე შემთხვევაში კი ოქროსა და ვერცხლის განსაკუთრებულ ნივთთა და ძვირფასი თვლების საუნჯე. ასეთ საგანძურში არსებული ძვირფასი ქვები მოიხსენიებიან, როგორც - „თვალნი პატიოსანი“, „თვალ-მარგალიტი“. „თუალი“, გარდა სხვადასხვა საგნის აღნიშვნისა, „პატიოსან ქვას“ ეწოდება. „პატიოსანი“ ამ შემთხვევაში დიდებულს, რჩეულს, ძვირფასს, განსაკუთრებულს გულისხმობს.

სულხან-საბა ორბელიანი ძვირფას ქვებს „აღრელების“, „სპეკალისა“ და „გუჰარ/გუარის“ სახელწოდებით მოიხსეიებს. უფრო კონკრეტულად, სპეკალს უწოდებს „ქვა პატიოსანი“, ხოლო გუჰარს – „მარგალიტს“. სახელწოდება „თვალ-მარგალიტი“ მიუთითებს, რომ ორგანული წარმოშობის მარგალიტი განსხვავდება ჩვეულებრივი ძვირფასი ქვისგან, მაგრამ მასსავით ღირებულია და ისიც მოიხსენიება, როგორც „ქვაი პატიოსანი“, როგორც „ფასდაუდებელი“, „მრავალსასყიდლისაჲ“. სულხან-საბა ორბელიანი მას „მანგის“ სახლწოდებითაც მოიხსენიებს. ძვირფასი თვალი, „პატიოსანი ქვა“, ზოგჯერ მოიხსენიება „ჯავარის“ სახელწოდებით, რაც ასევე თვალის ხარისხსა და ელვარებასაც გულისხმობს. ზოგიერთ წყაროში ქვის გამჭირვალობა მოიხსენიება, როგორც „კარგის წყლისა“, ხოლო შეურეველი, წმინდა - როგორც „ხალასი“.

„ძვირფასი“ ფასიდან მომდინარეობს, რაც სასყიდელს ნიშნავს. მას უკავშირდება „დიდსასყიდლოვანი“ ანუ ძვირადღირებული, იგივე „დიდფასი“, „ფასდაუდებელი“ (დიდი

ფასის მქონე) და „ფასებული“ – ღირებული. მართლაც, „პატიოსანი ქვები“ და მარგალიტი წყაროში მოიხსენიება, როგორც „ფასდაუდებელი“, „უსასყიდლო“, „ძვრფასისანი“, ან „თუალნი დიდ-ფასისანი, ძვრად საპოვნელნი“.

ძვირფასი ლითონებიდან ძირითადად მოიხსენიება ოქრო და ვერცხლი, ასევე „წითელი ოქრო“, ოფაზი. ამ ლითონებიდან ლეონტი მოიხსენიებს გაცი და გაიმის ოქროსა და ვერცხლის კერპებს, ასევე არმაზის კერპის „ოქროს ჯაჭვს“. „წითელი ოქრო სპილენძისა და ოქროს შენადნობია სხვადასხვა პროპორციებით, სწორედ სპილენძი აძლევდა ოქროს მოწითალო ფერს. „წითელ ოქროს“ მოიხსენიებს ჟამთააღმწერელი. ოფაზი წმინდა, მინარევებისგან შეურეველი სუფთა ოქროა, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულობას. ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანის ცნობით, თამარ მეფის გვირგვინი დამზადებული ყოფილა „ოქროსა მის ოფაზისა“. ეს გვირგვინი მას წინაპართაგან უნდა მიეღო. თამარის პირველი ისტორიკოსის თქმით, მეფე გვირგვინისა და სკიპტრის გარდა, უხვად ფლობდა ძვირფას ქვებს.

ხელმწიფის კარის გარიგებაში აღწერილია ე.წ. „სეფე ტაბაკი“: „უნდა ოქროს ტაბაკი ურთუმელი იყოს. ზედ შექმნილი თავი თვალმარგალიტიანი, შიგ მარილი იყოს ზედ ერთი კოვზი ბროლისა, ტარი მოჭედილი, ხალასის თვალი ზედა იყოს“.

ხელმწიფის კარის გარიგებაში ნახსენებია აგრეთვე, „სეფე ჯაჭვი უთეთრესი“, რომელიც გიორგი III-ეს „თვით ვერცხლისა შეუქნია სალმასურის სახესა ზედა“, რომელსაც ჩაიცმევდნენ. აქ ჯაჭვის პერანგი – „ჯაჭვის საცვამი“ იგულისხმება და არ გამოვრიცხავთ, რომ დავით ნარინს სწორედ ეს „ჯაჭვი იგი სახელდებული სალმასური“ რგებოდა წილად ხვამლის განძიდან.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანის ცნობების მიხედვით, ცალ-ცალკე გამოიყოფოდა თვალ-მარგალიტი ანუ ძვირფასი ქვები და ინდური ქვები, რომელიც საკმაოდ ფასობდა

იმდროინდელ საქართველოში. აქ ალბათ იგულისხმება ნახევრად ძვირფასი ბუნებრივი ქვები და მინერალები.

ქართლის ცხოვებაში მოიხსენიება შემდეგი ძვირფასი თვლები, რომლებიც არსებობდა, როგორც ცალკეული სახით, ასევე გამოყენებულია სამეფო გვირგვინებსა და ცალკეულ სამკაულებში: ზურმუხტი (ზმირი/ზმური/ზმარაგდიონი/ზმარაიგდო/სმარაგდო, იგი იხსენიება „მბრწყინვალე“ ქვად), ბივრილი, იაკინთი (იაგუნდი, რომლის სახეობებიდან დასახელებულია „წითელი იაგუნდი“), მარგალიტი, ლალი, ანთრაკი, ლაჟვარდი, ბროლი, „იამანის ქვა“, აქატი, ანდამატი („ალმასი“), როგორც სიძლიერის და სიმტკიცის აღმნიშვნელი.

იოანე შავთელის *აბდულმესიანში* მოხსენიებულია სარდიონი, ლიგვირიონი, ბადახში, ალმასი, ლალი, ფირუზი, საფირონი. შოთა რუსთაველი, თავის უკვდავ პოემაში – *ვეფხისტყაოსანი* მხატვრული სახის შესაქმნელად ხშირად ასახელებს ძვირფას ქვებს და მინერალებს, რითაც გამოხატავს ძირითადად ფერს. ზემოაღნიშნული ქვების გარდა იგი მოიხსენიებს ასევე, „ბალახში/ბადახში“ (რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი უწოდებს - „ლალი უმჯობესი“), გიშერი, ამარტი, ქარვა, იაგუნდი (ყვითელი), ფაზარი, ძოწი, აყიყი, ალმასი (რომელსაც „მაგარ ქვად“ თვლის).

იოანე ბატონიშვილის *კაღმასობაში* ცალკე თავი აქვს დათმობილი ძვირფასი და ნახევარძვირფასი ქვებისა და მინერალების შესახებ ინფორმაციას, სადაც ავტორი მათ 32 სახეობას მიმოიხილავს.

„ქვითა პატიოსნითა“ ხდებოდა, როგორც სამეფო ნიშნების, ასევე საკულტო ძეგლების, ეკლესიების, ტაძრების, ხატების შემკობა. *ქართლის ცხოვხებაში* ძვირფასეულობის ის ნაწილი, რომელსაც ქართველი მეფეები სწირავდნენ და ამკობდნენ ეკლესიებს, „ეკლესიათა შესამკობელით“ ან „საეკლესიო სამკაულით“ მოიხსენიება. მტრის შემოსევის შედე-

გად ეკლესია-მონასტრების შემუსვრის დროს ხდებოდა ხატების გაძარცვა ძვირფასი ქვებისგან.

ლეონტი მროველის ცნობით, არმაზის კერპს „თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი“. კერპთა დალეწვის შემდეგ, წმ. ნინომ იპოვა „თუალი იგი ბივრილი“. ზურმუხტის შესახებ კი ინფორმაცია არ ჩანს.

გიორგი მერჩულის *გჰიგოდ ხანძთელის ცხოვჰებაში* აღნიშნულია, რომ „გვირგვინი სამეუფოჲ პატიოსანთა თვალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული“ არის. ქართლის ცხოვრებაში მოიხსენიება „ორნი იგი გჳრგჳნნი, ოქროსა და ანთრაკისანი: ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი, რომელი მოუძღუნა სპარსთა მეფემან ვახტანგს“, რომელსაც ჯუანშერი უწოდებს „გჳრგჳნი ანთრაკოანი“. ძველ ტექსტებში ეს ქვა მოიხსენიება, როგორც „ანთრაკი პატიოსანი“. „ეტლის თუალი“ ანუ ბორბალი შედარებულია, „ვითარცა პირი ქვისა ანთრაკისაჲ“, რაც მის მრგვალ ფორმაზე მიუთითებს (შდრ. „მოიღის ანთრაკი იგი ნიგუზის-სახჱ მრგუალი პატიოსანი“). სულხან-საბა ორბელიანის აღწერილობით, „ეს(ე) თვალი ნაკვერცხლის ფერია, ღამე ცეცხლებრ ელავს, დია ძვირფასი(ა)“.

ქაჰთღის ცხოვჰებაში ასევე, მოიხსენიება კიდევ ორი გვირგვინი „ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა, რომელნი იგი გამოიტანნა მამამან ჩუენმან, დიდმან მეფემან ვახტანგ, ინდოეთით და სინდეთით“. სულხან-საბა ორბელიანი ზურმუხტს „მწვანე ქვას“ და „კაპოეტის ქვას“ უწოდებს, ალბათ, მწვანე ფერიდან გამომდინარე. თუმცა, იოანე ბატონიშვილი, რომელიც უფრო სიღრმისეულად ახასიათებს ქვებს, მათ შორის განსხვავებას ხედავს და მათ სხვადასხვა ქვებად მიიჩნევს. „კაპოეტის ქვა“ ზურმუხტივით მტკიცე და მყარი არ არის, გამჭირვალობა, ბრწყინვალება და ფასიც ზურმუხტის ნახევარი აქვს. „მწუანე ქვაც“ გამჭირვალედ არის მოხსენიებული, თუმცა არც მას ჰქონია ზურმუხტის მსგავსი

ბრწყინვალება. „იაგუნდისა ძოწეულისათა“ იგივე „წითელი იაგუნდია“ და ამ შემთხვევაში წითელ, მოწითალო, ძოწისფერს გულისხმობს. თამარ მეფის ზემოაღნიშნული გვირგვინიც ასევე ყოფილა „აღმკული იაკინთთა (იაგუნდი), ზმირთა და სმარაგდოთა (ზურმუხტი)“.

ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს ცალკეული ძვირფასი თვლების და ნივთების შესახებ, რომელსაც ქართველი მეფეები სახელოვან ბრძოლებში გამარჯვების დროს მოიპოვებდნენ და ამდიდრებდნენ თავიანთ საგანძურს. ერთ-ერთი ასეთი ნაკეთობა – დუბეიზ სადაყას ძის „მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვირფასისათა“ დავით აღმაშენებელმა ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. მეფეს ხატისთვის შეუწირავს აგრეთვე მისი კუთვნილი „ლალნი და თვალ-მარგალიტნი“.

შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ თამარ მეფეს აურაცხელი სიმდიდრე მოართვეს, სადაც ცალკეული ძვირფასი თვლების გარდა ისტორიკოსი მოიხსენიებს „მანიაკთა ოქროსათა თუალიან-მარგალიტიანთა“. „თუალნი პატიოსანნი“ და „თუალ-მარგალიტი“ ერთ-ერთი ატრიბუტია თამარ მეფისთვის ძღვენის სახით მირთმეულ ნივთებში. ძღვენის შესატყვისია „არმაღანი“, რომელსაც ხშირად ახსენებს *ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანი* სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არმაღანი არის „შორით მოსრულისაგან მოღებული მის თემის ძღვენი“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩრდილო ირანის ქალაქების დამორჩილების შემდეგ მათი არისტოკრატიის მიერ გამოგზავნილი სიმდიდრე, სადაც ძვირფასი ქვებიც შედიოდა. როდესაც თამარს ძღვენი მოართვეას, განკჳრდა მეფე; არავის ქართველთაგანსა არ ენახა ეზომი სიმდიდრე და აურაცხელნი თუალი და მარგალიტი“.

წყარომ შემოგვინახა ასევე ინფორმაცია „პატიოსანი თვლის“ ზომის, დამუშავების და ხარისხის შესახებ, რაც განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის ძვირფასეულობას. ამ მხრივ,

ჟამთააღმწერლის ინფორმაციიდან მნიშვნელოვანია ძვირფასი ქვების დასახელება ხვამლის განძიდან, რომელიც დავით ნარინს ერგო. ესენია – „თუალი იგი პატივცემული გურდემლი“, რომელსაც სიმონ ყააუხჩიშვილი განმარტავს, როგორც „თვალი, რომელიც გათლილი იყო გრდემლზე“. აღნიშნულია ასევე, „მარგალიტი იგი დიდი, რომლისა არა-ვის-სადა უხილავს“. დავით ნარინს ასევე ჰქონდა „თუალი იგი სახელოვანი“, რომელიც დედოფალ რუსუდანს მისთვის გაუტანებია მონღოლთა ყაენთან წასვლის დროს. ამ ქვას ზედმიწევნით აღწერს სტეფანოს ორბელიანი. მისი ცხოვრება ორბელიან ძველი ქართული თარგმანების A ტექსტის მიხედვით, „რამეთუ აქვნდა მას (დავით რუსუდანის ძე - ქ.ქ.) თვალი ერთი ფრიად პატიოსანი, მანათობელი და ხილვად მეწამული, რომლისაგან გამოკრთებოდა ეს სხივნი, ვითარ ცეცხლისაგან, რომელ განანათლებდის სახლსა ღამე, ვითარცა ლამპარი“. B ტექსტის მიხედვით ეს ქვა შემდეგნაირად არის დახასიათებული: „და აქუნდა თჳს თანა გუარი ერთი პატივოსანი, ფრიად მნათობი, და აქუნდა ფერი წითელი, რომლისა მიერ ცვიოდენ შარავანდედნი, ვითარცა ცეცხლისაგან, და ღამე ანათებდა სახლსა, ვითარცა ხუამლი“.

ძვირფასი ქვებით შემკული ნაკეთობებიდან აუცილებლად უნდა დავასახელოთ სვეტიცხოვლის კანკელი, „რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდამ, წითელის იაგუნდისა ქმნილი“, იგი ალბათ ვახტანგ გორგასალმა ინდოეთიდან ჩამოიტანა ზემოაღნიშნულ „ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა“ გვირგვინთან ერთად. ეს სიმდიდრე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, სვანეთში ინახებდა სვეტიცხოვლის სახიზარში.

თვალ-მარგალიტით შემკობილი ნივთებიდან უნდა დავასახელოთ დემეტრე II-ის უძვირფასესი სარტყელი, ე.წ. ქეიანი, რომელიც მონღოლებმა გადასცეს მას ერთგული სამსახურისთვის. მსგავსი სარტყელი ჰქონია ტარსაიჭ ორბელსაც.

სტეფანოს ორბელიანი მას ახასიათებს, როგორც, „მოოჭვილისა ოქროთა მრავალსასყიდლისათა, თვალთაგან და მარგალიტთა მიერ აღსავსესა, მისცემდა შერტყმად წელთა“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის დროს, საქართველოს ეკლესიის დაცვა ნიკოლოზ კათალიკოსმა თვით მონღოლთა ყაენს სთხოვა. მონღოლებმა „დაუწერეს იარლიყი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა, შეუქმნეს და მოსცეს შანად („მინდობის ნიშანი“, როგორც ერთგულების საწინდარი“ – სულხან-საბა ორბელიანი) ჯუარნი ოქროსანი და შეუმკუნა თვალითა და მარგალიტითა“. ერთი კათალიკოსისთვის მიუციათ, მეორე კი მისი თანმხლები ვარძიის წინამძღვრისთვის. კათალიკოსს მისცეს ასევე ოქროთი შემკული ჯვრიანი არგანი. ყოველივე ამით მან შეძლო ეკლესია-მონასტრების დაცვა. თვალ-მარგალიტი ზოგჯერ სიმდიდრის მნიშვნელობითაც იხმარებოდა, რაც თავისთავად გულისხმობდა ძვირფასეულობაში არსებულ პატიოსან თვლებს.

წმინდა ქეთევან დედოფლის მარტვილობა ქართული და ევროპული წყაროების მიხედვით

ნარი ჩხაბერიძე
დამოუკიდებელი მკვლევარი

ადამიანის ცხოვრების მოწამეობრივი დასასრული ქრისტეს ჭეშმარიტების მოსაპოვებლად, იგივე მარტვილობა – ეს არის სულის უკვდავებისა და ჯვარცმული ქრისტეს მიბაძვით, მისი მკვდრეთით აღდგომასთან თანაზიარება. მოწამეობა მიიღწევა, როგორც ასკეტური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალი, რომელიც თავის თავში ერთობლი-

ვად მოიცავს ყველა იმ სათნოებებს, რასაც კი წმინდა წერილი გვასწავლის. მოხსენება ეხება მსოფლიოში ცნობილ მოწამეობრივ ფაქტს, რომელმაც XVIII-XIX სს საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-რელიგიურ ვითარებაში არსებული ისტორიული სინამდვილე ქვეყნის სასიკეთოდ შეცვალა. ეს ფაქტი მოხდა ასკეტურად მცხოვრები წმინდა ქეთევან დედოფალის მიერ, ქრისტესა და საკუთარ ოჯახთან ერთად ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულის ნიადაგზე. ამ პერიოდის ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ურთიერთდაპირისპირების მსხვერპლად აღმოჩენილი ჩვენი ქვეყანა საარსებო ძალებს ძლივს ინარჩუნებდა.

ძლიერი სახელმწიფოები, საქართველოს დაცვის სანაცვლოდ, ერის იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლის – სარწმუნოების შეცვლას ითხოვდნენ ქართველებისგან, რაც ქვეყანას გადაგვარებით ემუქრებოდა. მუსლიმური ოსმალეთი და ირანი აუცილებლობად რაცხდნენ ისლამის მიღებას ქართველების მიერ და ამავდროულად, საქართველოს ტერიტორიების პროვინციებად შემოერთებას; კათოლიკური რომი, მართალია, მეგობრულ ურთიერთობებს გვთავაზობდა, მაგრამ ვატიკანს ამ ურთიერთობის პირობად მიაჩნდა ქართველების რომის ეკლესიაში გაერთიანება; მართლმადიდებლურ რუსეთს კი გუბერნიის უფლებით უნდოდა თავის შემადგენლობაში საქართველოს მიერთება. ერთმანეთის სისხლისღვრითა და სამეფო ძალაუფლების მოსაპოვებლად ძმისა და მამის მკვლელობამდე მისული გაურჯულოებული ქართველებით, ქვეყანა დაღუპვის პირას იყო მისული.

ამგვარი მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ქვეყანაში, დედოფალი – წმინდა ქეთევანი ახერხებს იყოს ბრძენი მონარქი და არსებულ პირობებში ყველაზე გონივრული გადაწყვეტილებების მიმღები მმართველი თავის სამეფოსი. ამის შესახებ ქართველ მემატიანეთა გარდა, საუბრობენ უცხოელი მკვლევრებიც. კერძოდ, იტალიელი

მოგზაური პიეტრო დელა ვალეს ცნობით, წმინდა დედოფალს ჰქონდა დიდი ნიჭი სახელმწიფოს მართვისა; ასევე, არაქელ დავრიჟეცი (ცნობილი სომეხი ისტორიკოსი), რომელიც დაწვრილებით აღწერს შაჰ-აბასის შემოსევებს ამიერკავკასიაში, იხსენიებს წმინდა ქეთევანს, როგორც ტახტისა და თავისი ძის თეიმურაზის გონიერ დამცველს; საქართველოში მცხოვრები მისიონერი იტალიელი მხატვარი დონ კრისტოფორო დე კასტელის აღწერით, იგი: „ძალიან მჭერმეტყველი იყო და არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი, მისი გარეგნობა თვით ანგელოზს შეშურდებოდა. ამასთანავე იგი სულიერად წმინდანივით ბრწყინავდა“.

ყოველმხრივ სრულქმნილი და ყოველგვარი სიკეთეებით შემკული დედოფალი ქვეყნის ბედის უკუღმართობით შაჰ-აბასის მძევალი ხდება, თავის შვილიშვილებთან – ლევანსა და ალექსანდრესთან ერთად. ათი წელი ჰყავდა მძევლად ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასს. ეს დრო დედოფალმა, განსაკუთრებული ასკეტური ცხოვრებით – მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით ისე გაატარა, რომ ფაქტობრივად, დედოფლის სხეული განლევამდე იყო მისული. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მხნედ იყო.

მისი მოძღვარი მოსე და მღვდელი ვასილი, თითქმის ყოველდღიურად აღასრულებდნენ წირვებს, თითქოს ამზადებდნენო დედოფალს მოწამეობისთვის და თვითონაც ყოველდღიურად ელოდნენ ქრისტესთვის სიკვდილს. ისინი საქმით ასრულებდნენ პავლე მოციქულის შეგონებას – „ნუ მისცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უსამართლობის საჭურვლად, არამედ, როგორც მკვდრეთით აღმდგარმა, უძღვენით თავი ღმერთს, ხოლო თქვენი ასოები საჭურვლად – ღმერთის სიმართლეს“ (რომაელთა 6 -13).

ასეთ შემოქმედებით პროცესში ადამიანი უარყოფს საკუთარ თავს და ჰქმნის ახალ ადამიანს, მთლიანად ღმერთზე მინდობით, რასაც ასკეტური ღვაწლით შეუძლია რომ მიაღწი-

ოს... ასკეტური დათმენა და მორჩილება ათავისუფლებს სულს, სამშვინველთან ერთად. თავისუფლების გარეშე ამაოა ყოველგვარი ხორციელი შეზღუდულობა და თვითგვემა. ასკეტური ძალისხმევის შედეგად იცვლება ადამიანის ხედვა და ხდება თვით სამყაროს საყოველთაო, ღვთაებრივი ფერისცვალებაც. სწორედ ასკეზა იყო წარმოუდგენილი წამების დათმენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი წმინდა ქეთევანისა და მისი მოძღვრის – მამა მოსეს ცხოვრებაშიც.

ჩვენი კვლევის საგანი ეხება მოტივაციას, რაც წმინდა მარტვილ დედოფალს ამოძრავებდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. მოწამე ადამიანი იმ სრულყოფილ სიყვარულს ახორციელებს, რომელიც შიშს განაგდებს იესო ქრისტეთი და მასთან ერთად შეუძლია მოკვდეს, რადგან იცის, რომ შემდეგ აღდგება ქრისტესთან ერთად მარადისობაში. სწორედ ასეთი ქრისტესმიერი სიყვარული იყო სამშობლოს სიყვარულად ქცეული ის უდიდესი ძალა, რამაც წმინდა ქეთევან დედოფალს, თავისი ქვეყნის ამაოხრებელ, მძვინვარე სიძულვილით სავსე შაჰ-აბასზე გაამარჯვებინა. მოწამე ადამიანი აღწევს იმ მდგომარეობას, როგორსაც პავლე მოციქული გადმოგვცემს: „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ (გალ. 2,20). განღმრთობილი მოწამეები იღებენ ქრისტეს ძალასა და სიცოცხლეს, მისით ხდებიან „მადლისმიერი ღმერთები“ და თვითონვე არიან ქრისტეები ქრისტეში. წმინდანობა არსობრივად ახორციელებს ადამის მოდგმის შესაქმის საწყისში, ღვთის მსგავსობრიობაში დაბრუნებას. ყოველმა წმინდანმა რწმენითა და სიყვარულით განახორციელა თავის თავში ღმერთის მსგავსება. ქრისტე მოუწოდებს „ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს“ (ინ. 14,23).

ნაშრომში ვცდილობთ განვიხილოთ, დედოფლის მარტვილობასთან დაკავშირებული, როგორც ქართველთა, ისევე უც-

ხოელთა სარწმუნო მონათხრობები. წმინდა ქეთევანის პიროვნების გასაოცარი ღვთისნიერებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ბევრს წერდნენ მასზე ირანის კარზე მყოფი ფრანგი კათოლიკე მისიონერები. შირაზში ტყვედ ყოფნისას ქეთევან დედოფალს ურთიერთობა ჰქონდა ევროპელ მისიონერებთან, ხალხზე განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა წმინდანის სულის სიმტკიცემ. მისი წამება აღწერა გრეგორიო ორსინიმ, პიეტრო დელა ვალემ და მრავალმა სხვამ. XVII საუკუნის გერმანელმა მწერალმა ანდრეას გრიფიუსმა შექმნა დრამა „ქეთევან ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“. ბერი დუშ ანჟუში, აღწერს დედოფლის საზარელ წამებას, შთამბეჭდავი სათაურით – *ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი*. ქეთევან დედოფლის სამაგალითო გმირობაც შთაგონების წყარო გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მწერლებისა და ხელოვნებისთვის.

თავად თეიმურაზ I-მა დაწერა პოემა წამება ქეთევან დედოფლისა, სადაც იგი წარმოაჩენს ქეთევან დედოფლის ასკეტურ ღვაწლს, ქრისტიანულ სათნოებებსა და პოლიტიკურ მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებაში. თხზულებაში, გარდა ისტორიული სინამდვილისა, გადმოცემულია მარტვილი დედოფლისა და თავად ავტორის, თეიმურაზ მეფის სულიერი განცდები. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების თეოლოგიური საზრისი, წმინდა სახარებისმიერ მოტივებზე აქვს მეფე თეიმურაზს გადმოცემული. კერძოდ, იგი სახარებისეულად ხაზს უსვამს ქრისტეს ჯვარცმის მსგავს მოწამოებას, როცა საყვედურობს თავის თავს, რომ დედოფლის წამებისას თვითონაც იქ არ იყო და მის მარჯვნივ არ ეცვა ჯვარს: „მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი, მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი“. თეიმურაზი წამების ფაქტს დეტალურად აღწერს იმ მძიმე მდგომარეობის პარალელურად, რომლის დათმენაც უხდებოდა მრავალი წლის მანძილზე მის დედას.

კვლევისას ვაანალიზებთ, თუ რა შედეგი მოიტანა ერისთვის წმინდა დედოფლის მარტვილობამ. პირველ რიგში, ქეთევან წამებულის გმირულ თავდადებას საქართველოს გამოფხიზლება და თავისუფლების სულის არნახული აღზევება მოჰყვა. ამის დასტური მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებია, სადაც სეფიანთა ირანის ჯარს, ფაქტობრივად ბრძოლისუნარიანობა დააკარგვინა წმინდანის შთაგონებით აღძრულმა ქართველთა გმირულმა მამაცობამ. დედოფლის მოწამეობამ იხსნა საქართველო და ჩაშალა შაჰ-აბასის გეგმა „გურჯისტანის“ სრულიად გამაჰმადიანებით, იმ ონტოლოგიური საფუძვლის გამოცლას რომ გვიქადდა ქრისტიანობის სახით რომ ჰქონდა ქვეყანას.

აღსანიშნავია, რომ დედოფალი მართლმადიდებლებმაც და კათოლიკეებმაც ერთნაირი პატივით აღიარეს, მიუხედავად იმისა, რომ ქეთევანს არასდროს მიუღია კათოლიკური სარწმუნოება, რასაც მკაფიოდ და გარკვევით მიუთითებდა თვით ამბროზიო დუშ ანჟუში 1640 წელს რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: “სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა ლათინელს”. უმნიშვნელოვანესია ქეთევან დედოფლის პიროვნული ის მიღწევებიც, რაც თვით მაღალიერარქებმა დღემდე ვერ შეძლეს თავისი მოღვაწეობით. კერძოდ, მიუხედავად კათოლიკე პაპებისა და მართლმადიდებელი პატრიარქების მხრიდან განხეთქილების განკურნების მცდელობისა, ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შერიგებისკენ მიმავალი მხოლოდ მცირე პროგრესი მიიღწევა. წმინდა ქეთევან დედოფლის თავდადებამ კი შეძლო ქრისტიანული სამყაროს ამ ორი დიდი კონფესიისგან პატივი ერთნაირად დაემსახურებინა.

ამგვარად, ვასკვნით, რომ ამ საწუთისოფლო ცხოვრებაში ღირებულებათა სწორად განსაზღვრამ მიიყვანა ქეთევან დედოფალი მარადიული ცხოვრების გემოსხმევამდე, რაც გახდა საფუძველი ქრისტესთან ისეთი თავგანწირული ერთგულებით მეგობრობისა, საკუთარ თავთან ერთად ათასების ხსნა რომ შეძლო და ნეტარი მარადისობისკენ ქრისტესმიერ გაკვალულ გზას მთელი სრულყოფილებით ეზიარა.

შაჰანშაჰი ჰორმიზდ-არდაშირი და ქართლი

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, წმინდა მირიანის მამა იყო სასანიანი შაჰანშაჰი, სახელად არდაშირი. წინა წლებში გამოქვეყნებულ ჩემს რამდენიმე ნაშრომში სათანადო არგუმენტების მოხმობით ვაჩვენე, რომ ლეონტისეული „ქასრე არდაშირი“ არის ირანის მესამე სასანიანი შაჰანშაჰი ჰორმიზდი იგივე ჰორმიზდ-არდაშირი. ორივე ამ სახელით ის დაფიქსირებულია პირველწყაროებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ირანის სასანიანი შაჰანშაჰების სიაში ის წარმოდგენილია როგორც ჰორმიზდ I.

ლეონტის მიერ დაფიქსირებული სასანიანი არდაშირის იდენტიფიკაციისათვის შესაბამისი არგუმენტების ძიებისას მეტად საინტერესოდ წარმოჩნდა ირანის აღნიშნული მბრძა-

ნებლის მიერ პოლიტიკური პროცესების ხედვა და მისი პიროვნებაც. ქართული წყაროს მონაცემები ჰორმიზდ I-ის შესახებ არამარტო, უაღრესად მნიშვნელოვანი, აქამდე თითქმის ყურადღების მიღმა დარჩენილი, ფაქტებით ავსებს ამ შაჰანშაჰის ბიოგრაფიულ ქრონიკას, არამედ საკუთრივ ირანული წყაროების ახლებურად გააზრების საშუალებასაც იძლევა. საქმე ისაა, რომ ჰორმიზდ I-ის სახე ძალიან მკრთალად არის დახატული ირანის ისტორიაში, მისი ძლევამოსილი მამის შაბურ I-ის ფონზე იგი თითქმის შეუმჩნეველია. არადა, როგორც ირკვევა, ის არა მარტო კარგი მებრძოლი იყო (მაგალითად, ერთ-ერთ ირანული წყაროში ის მოხსენიებულია „მამაცის“ ეპითეტით), არამედ მოაზროვნე პოლიტიკოსიც.

მოხსენებაში მე შევეცდები მეფე მირიანის მამის ანუ ჰორმიზდ–არდაშირის ბიოგრაფიის დეტალების წარმოჩენას.

როგორც ცნობილია, სასანური ირანი დააფუძნა არდაშირ სასანიანმა, რომელმაც 224 წელს დაამარცხა არშაკიდების პართული დინასტია. არდაშირ I თავს წარმოგვიდგენდა მეფეთა მეფედ ანუ შაჰანშაჰად, მისი ძე შაბურ I კი იყო შაჰანშაჰი „ირანისა და არაირანისა“. ანუ ირანის იმპერიად კონცეპტუალიზებას სათავე, ფაქტობრივ, მეორე სასანიანმა შაჰანშაჰმა დაუდო. თუმც ტიტულის „ირანისა და არაირანისა“ რეგულარული გამოყენების დასაწყისად მაინც ჰორმიზდ-არდაშირის მმართველობის ხანა ითვლება. ეს უკანასკნელი შაბურ I–ის მესამე ვაჟი იყო, მაგრამ მამამ მას მიანიჭა უპირატესობა და ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს დაადგა მის მიერ დამორჩილებული სომხეთის მეფის გვირგვინი. ის რომ ჰორმიზდ-არდაშირი სომხეთის მეფე იყო, ამას შაბურ I-ის სამენოვანი წარწერიდან ვიტყობთ, რომელიც 262 წლით თარიღდება. თუმც, ჰორმიზდ-არდაშირის მიერ სომხეთის ტახტის დაკავება უნდა მომხდარიყო წარწერის ამოკვეთაზე ბევრად ადრე, კერძოდ, მესამე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ანუ მაშინ, როცა შაბურ I-მა სომხეთი დაიპყრო. „სომხეთის დიდი

მეფის“ ტიტული ჰორმაზდ-არდაშირმა, ჩანს, შეინარჩუნა შაჰანშაჰად გახდომამდე ანუ 270 წლამდე, ზოგი მკვლევრის აზრით, ესაა 272 წელი. ასეა თუ ისე, ის კავკასიაში იმყოფებოდა ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. სწორედ ამ დროს არის სავარაუდო მისი კონტაქტები ქართლის სამეფოს მესვეურებთან და ლეონტი მროველის მიერ აღწერილი მაეჟან სპასპეტის გეგმაც, რომელიც უკანასკნელი ფარნავაიზიანი მეფის ასულზე შაჰანშაჰის ძის დაქორწინებას ისახავდა მიზნად, შესაძლოა, ჰორმიზდ-არდაშირთან ქართველების უშუალო შეხვედრებითაც ყოფილიყო პროვოცირებული. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ქართლში ჰორმიზდ-არდაშირი ჩამოვიდა სომხეთიდან და ეს უნდა მომხდარიყო ირანში მის გამგზავრებამდე. ამიტომ ქართლში მისი ვიზიტის წლის მითითება შესაძლებელია. ესაა მისი შაჰანშაჰობის დასაწყისი წელი: 270 (ან 272) წელი. ამ დროს ლეონტის ცნობით, მირიანი შვიდი წლის იყო. შესაბამისად, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის დაბადების თარიღის გამოთვლაც პრობლემას არ წარმოადგენს: 270–7=263 (ან 272–7=265). 270(ან 272) წელს დაბადებული ირანელი უფლისწული რომ IV საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში ანუ ქართლის მოქცევის დროს ყოფილიყო იმგვარად მხნე და ენერგიული ადამიანი, როგორადაც მას წარმოგვიდგენენ ქართველთა განმანათლებელი ქალის წმინდა ნინოს ღვაწლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის თხზულებები, დიახაც შესაძლებელია.

სომხეთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა სასანიანი შაჰანშაჰების კავკასიურ პოლიტიკაში. ამ რეგიონში სომხეთი მათთვის იყო მთავარი დასაყრდენი. სასანიანი უფლისწულები იკავებდნენ ირანის მიერ დაპყრობილ სხვადასხვა ქვეყნის ტახტს. თუმც, სომხეთში მეფობა განსაკუთრებული ფაქტი იყო მათი მომავალი კარიერისათვის. ჰორმიზდ-არდაშირს მამა ირანის ტახტისათვის რომ ამზადებდა, ეს ცხადი იქნე-

ბოდა უკვე III საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა, შაბურმა შვილს სომხეთის მეფობა უბოძა.

შაჰანშაჰად გახდომის შემდგომაც ჰორმიზდ-არდაშირისათვის კავკასია მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. როგორც მამის რჩეულს, სავარაუდოდ, მისი უფროსი ძმების მტრობის მოლოდინი უნდა ჰქონოდა. ანუ, შაჰანშაჰობის პოზიციაზე მყოფსაც კი, მას ესაჭიროებოდა თავის მომხრე რეგიონი და ამისათვის ყველაზე კარგი სამხრეთ კავკასია იყო, სადაც მრავალი წელი მოღვაწეობდა და აქედან გამომდინარე, აქაურ ვითარებას ზედმიწევნით იცნობდა. სომხეთის დატოვების შემდეგ მეზობელ ქართლში ფეხის მოკიდება ჰორმიზდ-არდაშირისათვის შესანიშნავი ალტერნატივა იყო კავკასიაში პირადი გავლენის შესანარჩუნებლად. ამ მიზეზით ქართველების წინადადება მას მართლაც, ძალიან უნდა მოსწონებოდა. ამ წინადადებამ ირანის ხელისუფალს ქართლი ახალი კუთხით დაანახა. ლეონტი მროველი ხაზს უსვამს, რომ მირიანის მამამ შენიშნა, მცხეთის სტრატეგიული უპირატესობა სომხეთისა და ქართლის ყველა სხვა ქალაქთან შედარებით და მიგვანიშნებს, რომ ამითაც იყო განპირობებული შაჰანსაჰის პოზიტიური პასუხი ქართველების თხოვნაზე. მამამ მირიანს მცველად შვიდი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი გვარდია დაუტოვა და კიდევ დამატებითი ჯარი მეტი უსაფრთხოებისათვის ქართლის საზღვრებს გარეთ განალაგა.

შაჰანშაჰთან ქართველების შეთანხმების აუცილებელი პირობა იყო, ძის გამეფების სანაცვლოდ მას ქართველებისაგან არ მოეთხოვა მამა-პაპური რელიგიის დატოვება და ირანელებთან ქართველების აღრევა. ორივე პირობა შეუსრულა შაჰანშაჰმა ქართველებს. ბრძანა, რომ ირანელი ჯარისკაცების დისლოკაციის ადგილი მხოლოდ ციხე–სიმაგრეები ყოფილიყო. რაც შეეხება რელიგიას, აქ მან ქართველებს იმაზე მეტიც კი დაუთმო, ვიდრე ისინი თავიდან მოითხოვდნენ. ბრძანა, რომ მისი ძე მშობლიურ ცეცხლთაყვანისმცემლო-

ბასთან ერთად ქართველთა კერპების სასოებითაც აღზრდილიყო.

ამგვარი რელიგიური ტოლერანტობა თუ პლურალიზმი დამახასიათებელი იყო ჰორმიზდ-არდაშირისათვის, ასევე შაბურ I-სათვის. ისინი, მართალია, ზოროასტრიზმის აღმსარებელნი იყვნენ, მაგრამ მშვიდობიანად ურთიერთობდნენ სხვა რელიგიების წარმომადგენლებთანაც. ამას აშკარად კარნახობდათ მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ირანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საჭიროებანი. განსაკუთრებით საინტერესოა მათი ტოლერანტობა მანიქეველებისადმი, ეს იყო სარწმუნოება, რომელიც ზოროასტრიზმის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ადრეული სასანიანების დროს. სხვადასხვა რელიგიების მიმართ ასეთი შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო ზოგი მკვლევარი ხატოვნად შაბურსა I-სა და ჰორმიზდ-არდაშირს უწოდებს „ნელთბილ“ ზოროასტრიანელებს. ანუ ზოროასტრიზმის მაინცდამაინც თავგადაკლულ მიმდევრებად არ განიხილავენ მათ.

რელიგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასანური ირანის იდენტობის ჩამოყალიბებისათვის და პირველი შაჰანშაჰები აშკარად შესაფერისი სარწმუნოების ძიებაში იყვნენ, თუმც თავიდანვე ზოროასტრიზმს მიენიჭა დიდი მნიშვნელობა და მას ერთგულად დარაჯობდა ზორიასტრიანელი სასულიერო პირი კერდირი. კერდირი, როგორც მიუთითებს თავის წარწერებში, შაჰანშაჰების მიერ ძალიან დაფასებული იყო, ჰორმაზდ-არდაშირს ის მოგუპეტის თანამდებობაზეც კი აუმაღლებია და მისი წარჩინებულობის დასტურად ქუდი და საბელი (ზოგის აზრით, ეს უკანასკნელი იყო ქამარი, მაგრამ რადგან რელიეფებზე ქამარი არ ჩანს, და სამაგიეროდ ჩანს მძივი, ფიქრობენ, რომ ეს იყო მარგალიტის მძივი) უბოძებია. მაგრამ ალბათ ეს საკმარისი არ იქნებოდა კერდირთან ურთიერთობების დასალაგებლად. ჰორმიზდ-არდაშირი ტახტზე ასვლის შემდგომ სულ ერთ წელიწადში გარდაიცვალა. და

საინტერესო ისაა, რომ ტახტი მისმა შვილმა ჰორმიზდაკმა კი არ დაიკავა, არამედ ჰორმაზდ-არდაშირის უფროსმა ძმამ – ბაჰრამმა, რომელიც, მამის მიერ არასოდეს განიხილებოდა ტახტის მემკვიდრედ. ბაჰრამმა ტახტი კერდირის დახმარებით დაიკავა. არაა გამორიცხული, რომ ჰორმიზდ-არდაშირის ნაადრევ სიკვდილში კერდირის და მისი განაწყენებული უფროსი ძმის ხელი ერიოს.

კერდირის საფრთხეს, ვფიქრობ, ხედავდა ჰორმიზდ-არდაშირიც. მიუხედავად დაწინაურებისა, იგი აშკარად ესწრაფოდა კერდირისა და მისეული ზოროასტრიზმის საპირწონედ სხვა რელიგიური ლიდერისა და დოქტრინის მოძიებას. ამით უნდა აიხსნებოდეს მისი კარგი ურთიერთობა მანიქეველებთან. ამგვარი მიზანდასახულების მაჩვენებელი უნდა იყოს ქართლთან მიმართებით მისი პოლიტიკაც.

ამ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები მოგონია შემდეგი ფაქტები: ჰორმიზდ-არდაშირის ძის სახელი მირიანი/მიჰრანი, აშკარად უკავშირდება მითრას. როგორც ცნობილია, მითრა ირანის უძველესი და ძალიან პოპულარული ღვთაება იყო. ის აჰურამაზდასთან და ანაჰიტთან ერთად უზენაეს ღვთაებათა სამეულში შედიოდა. მას განიხილავდნენ როგორც აჰურამაზდას თვალს. ის სიმართლისა და სამართლიანობის სადარაჯოზე მდგომი ღვთაება იყო, ბევრი სხვა ფუნქციაც ჰქონდა, მაგრამ სასანიანების დროს მისი მნიშვნელობა რამდენადმე შემცირდა, რადგან აჰურამაზდას მიეწერა მითრას ბევრი თვისება. ამ დროის ირანში, თუმც მითრაიზმი კვლავ რჩებოდა ოფიციალური ზოროსტრიზმის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ის ამჟღავნებდა ტენდენციას გარდაქმნილიყო ზოროასტრიზმის სექტად. რადგან მირიანი სწორედ მითრასთან ჩანს ასოცირებული, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰორმიზდ-არდაშირი ფიქრობდა ოფიციალური ზოროასტრიზმის საპირწონედ სწორედ მითრაისტული გან-

შტოებისათვის დაეჭირა მხარი იმპერიის იდეოლოგიის საბოლოო დადგინების პროცესში.

ამ ვარაუდს გარკვეულად ამყარებს ჰორმიზდ-არდაშირის თანამოაზრის და უახლოესი თანამოღვაწის (სხვაგვარად შვილის მეურვეობას შაჰანშაჰი მას არ დაავალებდა), მირიანის მამამძუძის სახელიც – მირვანოზი, რომელიც ასევე მითრასთან ასოცირდება. მის კავშირს მითრაიზმთან, ვფიქრობ, შემდეგი ფაქტიც ადასტურებს. *მოქცევაი ქაhთღისაის* მიხედვით, მირიანის მამად ლევი/რევია დასახელებული. ბევრ მკვლევარს ეს აფიქრებინებს, რომ ამ მონაცემის საფუძველზე ლეონტი მროველის ცნობა მირიანის სასანური წარმომავლობის თაობაზე უნდა უარყოფილ იქნეს.

მაგრამ ეს აზრი არ არის მართებული. ლევი/რევი მირიანის მამად კი არის დასახელებული წყაროში, მაგრამ მეფედ არა. აშკარად ის არის მამამძუძე. და ამგვარად, *მოქცევაი ქაhთღისაის* მონაცემი მხარს უჭერს ლეონტი მროველის ცნობას, რადგან კონტექსტს, რომელშიც შეიძლება ამგვარი მონაცემის გაგება, წარმოადგენს სწორედ ლეონტი მროველის ინფორმაციას მირიანის წარმომავლობაზე: როცა ქართლის მეფეთა სიაში პიროვნება დასახელებულია მხოლოდ იმიტომ, რომ მირიანის მამაა, შეუძლებელია, რომ ის არ გავაიგივოთ მამამძუძესთან. ამასთან, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთ შემთხვევაში ამ მამამძუძეს ჰქვია მირვანოზი, მეორე შემთხვევაში კი – ლევი./რევი. მირიანის მამამძუძეს, ჩანს, ორი სახელი ჰქონდა მირვანოზ-რევი (ისევე როგორც მის ბიოლოგიურ მამას ჰორმიზდ-არდაშირს), ხან ერთდროულად ორივე სახელით მოიხსენიებოდა (როგორც ვნახეთ, ასე იყო ჰორმიზდ-არდაშირიც), ხან მხოლოდ ერთით. ამიტომ, ერთმა წყარომ მისი ერთი სახელი შემოგვინახა, მეორემ – მეორე. როგორც უკვე ითქვა, პირველი სახელი მითრასთან ასოცირდება და მისი მატარებელი პიროვნების მითრაისტობას მიუთითებს. მაგრამ, განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ

მეორე სახელიც მითრასთან ასოცირდება. *ხევი* სპარსულად *სიცხუის დამმახცხებელს* ნიშნავს. მითრას მთავარი ფუნქცია კი სწორედ ესაა: ის სიმართლისა და სამართლიანობის სადარაჯოზე მდგარი ღვთაებაა.

ცხადია, მირიანის მცირეწლოვნობის დროს ქართლს ფაქტობრივ მირვანოზი განაგებდა. საფიქრებელია, რომ ის მხოლოდ სამხედრო ძალებს კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ რელიგიის საქმეებსაც კურირებდა. ამ თვალსაზრისით უაღრესად ნიშანდობლივია, ლეონტი მროველის ცნობა იმის თაობაზე, რომ მირვანოზმა განსაკუთრებული ყურადღება ქალაქ ნეკრესის აღმშენებლობისადმი გამოიჩინა. არსებობს სხვა მონაცემები იმის საფიქრელად, რომ სწორედ ეს ქალაქი იყო წინაქრისტიანულ ქართლში მითრაისტული კულტმსახურების ცენტრი მოყოლებული ქართლის მეოთხე ფარნავაზიანი მეფის ფარნაჯომის დროიდან. მირიანის რეგენტად დატოვებული მირვანოზი შაჰანშაჰს იმპერიაში დიდი თანამდებობისათვისაც შეიძლებოდა ჰყოლოდა გამიზნული. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თუ ოდესმე მირიანი გახდებოდა შაჰანშაჰი (და მამამისი რომ ნაადრევად არ გარდაცვლილიყო, ეს გამორიცხული სულაც არ იყო), მისი მითრაისტი მოძღვარი გახდებოდა სასანური იმპერიის მთავარი იდეოლოგი. ამგვარი პროექტის არსებობა, ცხადია, ჰორმიზდ-არდაშირის მოწინააღმდეგეებსაც, კერძოდ, კერდირის მომხრეებსაც, შეეძლოთ წარმოედგინათ. ამიტომ, გავიმეორებ ჩემს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს: სულაც არაა გამორიცხული, რომ შაჰანშაჰ ჰორმიზდ-არდაშირის ნაადრევი გარდაცვალება ბუნებრივი მიზეზით გამოწვეული არ იყო.

ჰორმიზდ-არდაშირის გარდაცვალების შემდგომ პროექტი, რომლის განხორციელებას ის ქართლის მეშვეობით აპირებდა, არ შეწყვეტილა. ამ პროექტს პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებით განპირობებული კორექტივებით აგრძელებდა მირიანის მამამძუძე მირვანოზი.

ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ როცა 15 წლის გახდა მირიანი, მისი ფარნავაზიანი მეუღლე გარდაიცვალა. მირიანის მეორე ცოლი, ისტორიკოსის მითითებით, იყო ბერძენი ნანა. უფლისწულისთვის მეუღლის შერჩევა, ცხადია, პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ და ამ გადაწყვეტილების მიღებაში მირვანოზ-რევის აზრი უნდა ყოფილიყო წამყვანი. საინტერესოა, რომ უკვე ამ დროს ქართლის მთავარი მსაჯული ირანში მოკავშირეებს აღარ ეძებდა. ამის ვარაუდის საფუძველს ის გვაძლევს, რომ მან „დასავლელი“ მეუღლე შეურჩია თავის შვილობილს.

რა სარწმუნოების იყო ეს „დასავლელი“ დედოფალი გაქრისტიანებამდე? *მოქცევაი ქართლისაიში* გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ვინმე სპარსი, სახელად ხუარა, წმინდა ნინომ სასწაულებრივ განკურნა მძიმე სენისაგან. ამ წყაროში შენიშნულია, რომ ეს ხუარა იყო ნანა დედოფლის ნათესავი. სრულიად აშკარაა, რომ ხუარას სახით საქმე გვაქვს ცეცხლთაყვანისმცემელთან, ხოლო „სპარსი“ ამ შემთხვევაში ეთნოტერმინი კი არ უნდა იყოს, არამედ კონფესიის აღმნიშვნელი სიტყვა. ანუ ხუარა სპარსული რელიგიის მიმდევარი ყოფილა. მაგრამ, რადგან დედოფლის ახლო ნათესავად არის წარმოდგენილი და, სავარაუდოდ, ქართლში სწორედ მას ჩამოჰყვა, საფიქრებელია, რომ გაქრისტიანებამდე ნანაც სწორედ იგივე რელიგიის მიმდევარი იყო. ეს რელიგია კი შეუძლებელია სხვა რამ ყოფილიყო თუ არა მითრაიზმი. ცხადია, არა ის, რომელიც გავრცელებული იყო ირანში, არამედ ის, რომელიც აღნიშნულ ეპოქაში პოპულარულია ბერძნულ-რომაულ სამყაროში. ამგვარად, მირვანოზ-რევს მირიანისათვის, მართალია, ბერძენი, მაგრამ მითრაისტი მეუღლე შეურჩევია. ლეონტი მროველი ხუარას შესახებ ამბობს, რომ ის მირიანის ნათესავი იყო, მაგრამ ეს ლეონტის კორექტივი უნდა იყოს. მას ახასიათებს ლოგიკური მოსაზრებებით (სპარსელ მირიანს უფრო შეჰფეროდა, სპარსელი ხუარას ნათესა-

ობა) განპირობებული ამგვარი ცვლილებების შეტანა წყაროს მონაცემში.

მირვანოზმა თავისი შვილობილისათვის შეარჩია მეუღლე დასავლური სამყაროდან, არა ორთოდოქსი ზოროასტრიზ-მის, არამედ მისი და მირიანის სარწმუნოებასთან ახლოს მდგომი სარწმუნოების მიმდევარი. ეს უაღრესად საინტერე-სოა ფაქტია: ისე ჩანს, რომ მირიანის საბოლოო გადაწყვეტი-ლება სარწმუნოების თვალსაზრისით ქართლი დისტანცირე-ბული ყოფილიყო ზოროასტრული ირანისაგან, სათავეს მისი მამამძუძის პოლიტიკიდან იღებს. მირვანოზის სახელის ბერ-ძნული სუფიქსით გაფორმებაც, ამ მხრივ, ძალიან საინტერე-სოა. ეს დეტალი, ვფიქრობ ასაჩინოებს მირიანის მოძღვრის სურვილს მისი მრწამსი ასოცირებული ყოფილიყო დასავ-ლურ მითრაიზმთან.

ჩანს, რომ ჰორმიზდ-არდაშირის გარდაცვალებიდან მრა-ვალი ათეული წლის შემდგომაც ქართლიდან თვალყურს ფხიზლად ადევნებდნენ ირანში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. როგორც უკვე ითქვა, ჰორმაზ-არდაშირის გარ-დაცვალების მერე, ტახტი მისმა უფროსმა ძმამ ბაჰრამმა და-იკავა. მის დროს ირანელი შაჰანშაჰების რელიგიური ტოლე-რანტობა დასრულდა. მანიქეველების ლიდერი მანი სიკვდი-ლით დასაჯეს. ბაჰრამ I-ის შემდგომ მისმა შვილმა ბაჰრამ II-მ დაიკავა ტახტი. ბაჰრამ II-ს დროს კერდირის ძლიერებამ ზენიტს მიაღწია. შაჰანშაჰი მას თავის მოძღვარს უწოდებდა. ამ დროს სომხეთის ტახტს იკავებდა შაბურის უმცროსი ვა-ჟიშვილი ნარსეჰი, მირიანის ბიძა. სომხეთიდანაც ეტყობა, ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ირანში მიმდინარე პროცე-სებს. როცა ნარსეჰი დარწმუნდა, რომ მისი შაჰანშაჰობის ჯე-რი არა და არ დგებოდა(მისი ძმიშვილის ანუ ბაჰრამ II-ს გარ-დაცვალების მერე ტახტზე ავიდა ძმისშვილის შვილი ბაჰრამ III), დათანხმდა ირანის ახალი შაჰის მოწინააღმდეგეთა მოწ-ვევას, და ტახტის დასაკავებლად ირანს გაეშურა. მან მოახ-

ერხა ეს და დაიკავა კიდეც ტახტი 293 წელს. ნარსეჰი გარდაიცვალა 303 წელს. სწორედ ამ დროს ჰქონდა ადგილი, სავარაუდოდ, იმ სამხედრო ოპერაციას, რომლის შესახებაც გვამცნობს ლეონტი მროველი: როცა ორმოცი წლის გახდა მირიანი, მაშინ ილაშქრა ირანში ტახტის დასაკავებლად. ლეონტი შეცდომით მიუთითებს, რომ ამ დროს გარდაიცვალა მირიანის მამა, სინამდვილეში, ეს იყო მირიანის ბიძა. თუ მირიანი 263 წელს არის დაბადებული, როგორც ამას ჩემი არგუმენტაცია აჩვენებს, 303 წელს ის, მართლაც, ზუსტად ორმოცი წლისა იქნებოდა. მირიანმა ფაქტობრივ იგივე სცადა, რაც, ცოტა ადრე მისმა ბიძამ, ანუ კავკასიიდან შეეცადა ირანის საქმეებში ჩარეულიყო. არაა მოულოდნელი, რომ მას ამგვარი ნაბიჯი გადაედგა, რადგან ბიძის გარდაცვალების შემდგომ, ის აშკარად სასანიანთა ოჯახში ტახტის უხუცესი პრეტენდენტი იყო და როგორც ასეთს, ირანის პოლიტიკურ წრეებში მომხრეებიც ეყოლებოდა. მაგრამ, ეტყობა, მხარდაჭერა არ იყო საკმარისი. შესაძლოა, არც მირიანის სურვილი იყო უკვე იმდენად ძლიერი, რომ ამდენი წლის მერე ქართლს განშორებოდა და ირანში წასულიყო, მითუმეტეს, რომ ამ დროს ირანის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში საფუძვლიანად შეირყა: შაჰანშაჰი ნარსეჰი 298 წელს სასტიკად დამარცხდა რომაელებთან ბრძოლაში და ორმოცწლიანი ზავით ქართლი რომის გავლენის სფეროში აღმოჩნდა.

შენიშვნებისათვის

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com